იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

URBANULI PROTESTEBI SAQARTVELOSHI – MIGHWEVEBI, GAMOWVEVEBI DA REKOMENDACIEBI

(2015-2021 წლები)

თბილისი
2022

დოკუმენტი მომზადებულია იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ.

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: ნინო ბაღაშვილი

კვლევის ავტორი: ნათია კეკენაძე

რედაქტორი: დეა ჯიქია

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

© 2022, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო 5

კვლევის თეორიული ჩარჩო 7

ურბანული მოძრაობები საქართველოში:
კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 15

ურბანული პროტესტები: გამოწვევები 17

ურბანული პროტესტები: მიღწეული შედეგები 27

მიმდინარე პროტესტები 34

დისკუსია კვლევის შედეგების შესახებ 40

ბიბლიოგრაფია 45

დანართები 47

შესავალი

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, ურბანული პრობლემები სულ უფრო აქტუალური ხდება როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, ისე სამოქალაქო საზოგადოებისთვის. დღეს არსებული ზოგიერთი ძირითადი სოციალური კონფლიქტი ეხება ურბანული პოლიტიკის საკითხებს, საზოგადოების სივრცით უფლებებსა და საჭიროებებს. დემოკრატიული, თანასწორი და სოლიდარული სივრცეების მშენებლობის გასაძლიერებლად ურბანული მოძრაობები ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

ურბანული მოძრაობების შესახებ როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ისე ქალაქებში მიმდინარე პოლიტიკური წინააღმდეგობები, საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ სხვადასხვა ქალაქში არსებულ სივრცით გამოწვევებს, საზოგადოების საჭიროებებს, კოლექტიური მობილიზაციის შემთხვევებს, მათი მოთხოვნების ჩამოყალიბებას, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიტანის გზებსა და საშუალებებს. წინამდებარე კვლევითი ნაშრომის მიზანია ქართული ურბანული აქტივიზმის ხასიათის და ადგილობრივ ურბანულ პოლიტიკაზე, სივრცით მმართველობასა და სოციალური მონაწილეობის პროცესებზე მისი გავლენის ანალიზი.

საკვლევ ობიექტად შეირჩა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქალაქები - თბილისი და ბათუმი,[1] სადაც სივრცის მოწყობა საჯარო ინტერესთან დაპირისპირების პარალელურად მიმდინარეობს. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა როგორც წარმატებული შედეგების, ისე ნეგატიური გამოცდილების მქონე და მიმდინარე პროტესტებში ჩართული აქტივისტების მოსაზრებები. გარდა ამისა, კვლევაში გაანალიზებულია პროტესტების ურბანულ-სოციალურ მოძრაობად გარდაქმნის ხელშემწყობი თუ ხელის შემშლელი გარემოებები. ასევე, ნაშრომში მიმოხილულია ქალაქის კონტექსტში დაწყებული წინააღმდეგობების შინაარსი, რომელშიც საპროტესტო ჯგუფები ქალაქური სივრცეების უფლებრივ განზომილებაზე აკეთებენ აქცენტს.

წინამდებარე კვლევა სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, მეორე ნაწილში აღწერილია კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, სადაც მიმოხილულია ურბანული სოციალური მოძრაობების არსი და მათი შესწავლის მოკლე ისტორია. ნაშრომის მესამე ნაწილი ეთმობა კვლევის შედეგების აღწერასა და განხილვას, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები მიემართება, როგორც საპროტესტო ჯგუფებს, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულ მკლევრებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში განხილული საკითხები როგორც აკადემიური წრეებისთვის, ისე საკითხით დაინტერესებული სხვა ჯგუფებისთვის ახალი დისკუსიებისა და საკვლევი საკითხების წარმოშობას შეუწყობს ხელს, ვინაიდან ურბანული სოციალური პროტესტების შესწავლისა და წარმატებული სტრატეგიების შემუშავებისთვის სხვადასხვა დარგის ექსპერტების: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკის, კულტურის მკვლევრების, ისტორიკოსების, ანთროპოლოგების, სამართალმცოდნეების, ქალაქმგეგმარებლების, კომუნიკაციის სპეციალისტების და ა.შ. ჩართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ქართული პროტესტების ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მას უკვე შესწევს სათანადო ძალა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებთან საკომუნიკაციოდ და დასაპირისპირებლად. ნაშრომში გაანალიზებული ურბანული მობილიზაციის კონკრეტული მაგალითები შესაძლებელია გახდეს ერთგვარი ბიძგი ურბანული მოძრაობების სხვადასხვა ჯგუფთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დისკუსიის გასახსნელად.

[1] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

წინამდებარე კვლევის საგანია ქალაქ თბილისსა და ქალაქ ბათუმში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებული ურბანული სოციალური მოძრაობები/ჯგუფები/პროტესტები, მათი თავისებურებები და სტრატეგიები. წარმოდგენილი კვლევა დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად იყენებს კვლევის თვისებრივ მეთოდებს, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზს.

პირველ რიგში, სისტემურად გაანალიზდა არსებული ლიტერატურული და რელევანტური დარგობრივი მასალები. მიმოხილული იქნა სამეცნიერო ლიტერატურა ჰენრი ლეფევრის[2] „უფლება ქალაქზე“ თეორიის კონტექსტში, იდენტიფიცირდა თემატური ხარვეზები, დაზუსტდა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, მიმოხილულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევისთვის საჭირო თემატიკის შესასწავლად განხორციელდა მეორეული დოკუმენტების სისტემური მიმოხილვა, რომლისთვისაც განისაზღვრა შესარჩევი ინფორმაციის კრიტერიუმები და შეგროვდა შესაბამისი სტატისტიკური და საკანონმდებლო დოკუმენტები სხვადასხვა წყაროდან.[3] ასევე, მიმოხილულ იქნა სახელმწიფოსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი პოლიტიკის დოკუმენტები, კვლევები და სხვა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ემპირიული მონაცემებიც შეგროვდა. ინფორმაციის შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც ჩატარდა სადისკუსიო გეგმისა და ინტერვიუს გზამკვლევის მეშვეობით, ამით მიღწეულ იქნა კითხვების დასმის თავისუფლება და კომბინაციის ცვლილება.[4]

სადისკუსიო გეგმა წინასწარ შემუშავდა და საპილოტე რეჟიმში გამოიცადა ერთ-ერთი ურბანული პროტესტის მონაწილე აქტივისტთან, რის შემდეგაც გადაიხედა კითხვების შინაარსი და შეიცვალა სამიზნე ჯგუფების შესაბამისად. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა დისკურსის კრიტიკული მეთოდი, რაც გულისხმობს ანალიზის სამ ეტაპს: აღწერას, ინტერპრეტაციას და ახნას.

თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა ქალაქ თბილისსა და ქალაქ ბათუმში არსებული ურბანული სოციალური საპროტესტო ჯგუფები, რომელთა მიზნობრივად შერჩევა წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლის გათვალისწინებით განხორციელდა. ეს მახასიათებლებია: მიღწეული შედეგები, ურბანული პროტესტების გამოწვევები, მიმდინარე პროტესტები. შერჩეული ჯგუფებია:

- **მიღწეული შედეგები: ქალაქ თბილისში „დავიცვათ დიღმის ტყე-პარკი“; ქალაქ ბათუმში „გადავარჩინოთ რვაფეხა“;**
- **ურბანული პროტესტების გამოწვევები: ქალაქ თბილისში „ოქროს უბნის პროექტი“; ქალაქ ბათუმში „ისტორიული სახლი ბარათაშვილის 24“ ;**
- **მიმდინარე პროტესტები: ქალაქ თბილისში „იპოდრომი - უბეტონო მხარე“; ქალაქ ბათუმში „რივიერა ცათამბჯენების გარეშე“.**

აღნიშნული მახასიათებლების მხედველობაში მიღებამ უზრუნველყო კვლევისთვის საინტერესო ურბანული სოციალური საპროტესტო ჯგუფების შექმნის, მათი წარმატებისა თუ წარუმატებლობის, მიმდინარე საქმიანობების ფართო სპექტრის ინტეგრირება, ამასთანავე, პროტესტების მიმდინარეობის მსგავსება-განსხვავებების შეფასება.

კვლევის რესპონდენტები ურბანულ პროტესტებში ჩართული აქტივისტები იყვნენ. ინფორმაციამ პროტესტში მათი როლის, გამოცდილებების, პროტესტისადმი კრიტიკის შესახებ უზრუნველყო ახალი იდეების გენერირება, რაც სასარგებლო აღმოჩნდა კვლევის ამოცანების შესასრულებლად და საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული სამომავლო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

---

[2] Lefebvre, H. (1991). *The production of space*. Oxford: Blackwell.

[3] Petticrew, M., & Roberts, H. (2006). *Systematic reviews in the social sciences: A practical guide.* Blackwell Publishing. https://doi.org/10.1002/9780470754887

[4] Bryman, A. (2008) *Social research methods*. 3rd Edition, Oxford University Press., New York.

კვლევის ფარგლებში, ინტერვიუები ჩატარდა სამართლის სფეროს იმ წარმომადგენლებთანაც, რომლებიც სამართლებრივ მხარდაჭერასა და კონსულტაციას სთავაზობდნენ ზემოთ აღნიშნულ საპროტესტო ჯგუფებს.

საბოლოო ჯამში, ემპირიული მონაცემების შეგროვების ეტაპზე განხორციელდა 16 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთა ხანგრძლივობა, საშუალოდ, 50 წუთს შეადგენდა. ინტერვიუები ჩატარდა 2021 წლის აგვისტო-სექტემბერში. ინტერვიუების დაწყებამდე რესპონდენტები გაეცნენ კვლევის ზოგად მიზანსა და ამოცანებს, ამასთანავე, მათგან მიღებულ იქნა ნებართვა ინტერვიუების აუდიო ჩაწერის შესახებ. აუდიო ჩანაწერის მეშვეობით მომზადდა ტრანსკრიპტები.

კვლევის ყველა ეტაპი - ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, ანალიზი და გავრცელება განხორციელდა ეთიკის სტანდარტების სრული დაცვით. საკითხის მგრძნობელობიდან გამომდინარე დაცულია ანონიმურობა.

კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ნაწილი დიდი ხანია ურბანულ აქტივისტურ მოძრაობებშია ჩართული, შესაბამისად, მათ აქვთ კულტურული მემკვიდრეობისა და მწვანე სივრცეების დაცვის მიმართულებით ბრძოლის გამოცდილება. მათი სუბიექტური შეხედულებები როგორც ქალაქებში მიმდინარე პროცესების, ისე საკუთრივ, იმ საპროტესტო ჯგუფის შესახებ, რომელთა ნაწილიც ისინი არიან, გვაძლევს საქალაქო პროტესტის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას. მათი თქმით, ორგანიზაციული სტრუქტურისა თუ მხარდამჭერთა რაოდენობის თვალსაზრისით, აქტივისტთა ჯგუფების პერსპექტივები, გადაიქცეს ურბანულ მოძრაობებად, საკმაოდ სუსტია.

რესპონდენტების მეორე ნაწილი ახლად შექმნილი ურბანული პროტესტების მონაწილეები არიან. მათ აქვთ მოტივაცია და სულისკვეთება, ითანამშრომლონ გამოცდილ აქტივისტებთან და წარსულში არსებულ პოზიტიურ თუ ნეგატიურ გამოცდილებებზე დაყრდნობით, შექმნან თვისებრივად ახალი ურბანული პროტესტის პრეცედენტი. ამ აქტივისტებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს საქალაქო პროტესტში მოქალაქეების ჩართვა წარმოადგენს.

კვლევის ძირითადი მიგნებები

ურბანული პროტესტების ნეგატიური გამოცდილება

კვლევის მიგნებები:

- ურბანული პროტესტების ნეგატიური გამოცდილების შეფასებისა და კვლევის რესპონდენტების ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი, რომელიც ურბანული პროტესტების წარუმატებლობაზე ახდენს გავლენას. ესენია: საზოგადოების ინდიფერენტულობა და ნაკლები ჩართულობა ურბანულ პროტესტებში;
- სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემა - პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები ურბანულ საკითხებზე;
- კომუნიკაციის შეუძლებლობა როგორც სახელმწიფოსთან/მუნიციპალიტეტთან, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- პროტესტში ჩართულ პირთა დროითი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა; პროტესტის მედიახილვადობის ნაკლებობა;
- ურბანულ საზოგადოებრივ პროტესტებში პოლიტიკური პარტიებისა თუ პოლიტიკური ფიგურების ჩართულობა; ურბანული საპროტესტო ჯგუფების მარგინალიზების საფრთხე.

ურბანული პროტესტები: მიღწეული შედეგები

კვლევის მიგნებები:

ურბანული პროტესტების მიღწევების შეფასებისა და რესპონდენტების ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც ურბანული პროტესტების დადებით დინამიკაზე ახდენს გავლენას:

- პროტესტის ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა;
- საზოგადოების მობილიზების ეფექტური ხერხების გამოყენება; კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტულ ჯგუფებთან;
- სამართლებრივი დავების წარმოება;
- ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება:
- მედიახილვადობის გაზრდა და პრობლემური საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრა;

კვლევის თეორიული ჩარჩო

ურბანული მოძრაობები (urban movements) წარმოადგენს სოციალურ მოძრაობებს (social movements), რომელთა გაერთიანების მიზეზებიცა და მიზნებიც ურბანულ საკითხებსა და პრობლემატიკას უკავშირდება.[5] სოციალური მოძრაობები ერთმანეთისგან განსხვავდება მობილიზაციის მასშტაბით, გამოხატვის ფორმებით და რაც მთავარია, შინაარსითა და მოთხოვნებით. მათთვის დამახასიათებელია გაფართოება ან პირიქით, შემცირება და გაქრობა.

როგორც ურბანული პოლიტიკის მკვლევარი ქრის პიკვანსი (Pickvance) წერს, „ისინი [ურბანული მოძრაობები] ურბანულ გარემოზე კონტროლის დასაბრუნებლად“ შეიქმნენ.[6] ურბანულ გარემოდ ავტორი ქალაქის ფიზიკურ სივრცეს, მის სოციალურ ქსოვილს, ეკოლოგიასა და ადგილო-

[5] Assies, W., G. Burgwal and T. Salman . (1990*). Structures of Power, Movements of Resistance. An Introduction to the Theories of Urban Movements in Latin America,* Cedla. Amsterdam .

[6] Pickvance, C. . (2003). Symposium on Urban Movements. *International Journal of Urban and Regional Research. 27: 102-177;*

ბრივი პოლიტიკის განხორციელებას მოიაზრებს. პიკვანსის მსგავსად, პოლ ჰირსტი (Paul Hirst) ნაშრომში „სივრცე და ძალა“ ამტკიცებს, რომ ქალაქი არის პოლიტიკური ინსტიტუტი[7] და დასძენს, რომ წარმატებული და განვითარებული მმართველობა ყოველთვის ხასიათდება, როგორც *ურბანული*.[8] ჰირსტის ეს მოსაზრება ურბანული დისციპლინის იმ ხაზის გაგრძელებაა, სადაც ცნობილი გერმანელი სოციოლოგი ვებერი (Max Webber) ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური მოქალაქეობის (political citizenship) თანამედროვე ფორმებს ურბანული ფესვები ჰქონდა.[9]

არსებობს ურბანული მოძრაობების (Urban Movements) ალტერნატიული ტერმინიც - „ურბანული სოციალური მოძრაობა“ (Urban Social Movements), თუმცა ეს ტერმინი ზოგიერთი მეცნიერისთვის სრულყოფილი არ არის. მაგალითად, პიკვანსის აზრით, *„ურბანული მოძრაობები“* თავისი შინაარსით უფრო მისაღებია, ვინაიდან იგი პირდაპირ მიემართება მთავარ პრობლემურ საკითხს - ქალაქს.[10] ეს მოსაზრება ცნობილი ესპანელი სოციოლოგის მანუელ კასტელსის (Manuel Castells) თეორიებში უარყოფილია. მისთვის ურბანულ მოძრაობებში საინტერესო მათი სოციალური მნიშვნელობაა. კასტელსი წერს, რომ „ამ [ურბანულ] მოძრაობებს მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები მოაქვთ საზოგადოებისთვის.[11]

ურბანული მოძრაობების შესახებ სოციოლოგიური კვლევები 1968 წლიდან გააქტიურდა. მანამდე ურბანული სოციოლოგია ფოკუსირებული იყო მხოლოდ საზოგადოებაზე ურბანული განვითარებისა და ინტერესთა კონფლიქტის კონტექსტში. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სამეცნიერო სიცარიელის შევსება სცადა, კასტელსი იყო. მან თავის ნაშრომში „ურბანული შეკითხვა“[12] წარმოადგინა ურბანული სისტემის დინამიკური მოდელი, სადაც ერთადერთ მექანიზმს, რომლითაც სტრუქტურული ცვლილებები არის შესაძლებელი, „ურბანულ სოციალურ მოძრაობებს“ უწოდებს. ზუსტად ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში აქტიურად იწყება მოქალაქეების მობილიზება ქალაქებსა და მათ გარშემო. მათი მთავარი შეკითხვა ურბანულ გარემოს შეეხებოდა. ამ მოძრაობებმა მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა, მრავალფეროვან საკითხებსა და არაერთგვაროვან ჯგუფებზე მოეხდინათ დაკვირვება. მაგალითად, ევროპის ქალაქებში 70-80-იანი წლებიდან აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა საცხოვრებლის ნაკლებობა, მზარდი შეუსაბამობა ქირასა და ხელფასს შორის, უთანასწორობა ჯანმრთელობისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე.[13] იმ პერიოდში განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს არ ჰქონდათ საცხოვრებლად ელემენტარული პირობები: წყალი, დენი, არ არსებობდა გზა და მუნიციპალური ტრანსპორტი. საჯარო სივრცეების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადადიოდა, ქალაქური სივრცეები სრულად კომერციალიზებული ხდებოდა, რის პასუხადაც, სხვადასხვა ჯგუფი გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა ადგილობრივ მმართველობასთან ან/და ქალაქის განვითარების ახლებურ ხედვას „ქვემოდან ზემოთ“ (Bottom Up) წარადგენდა.[14]

სამეცნიერო ლიტერატურაში ურბანული სოციალური მოძრაობების ორგანიზაციული სტრუქტურა აღწერილია როგორც „ქვემოდან ზემოთ“ (bottom up), ისე „ზემოდან ქვემოთ“ (top down). „ქვემოდან ზემოთ“ მობილიზაცია გულისხმობს აქტივისტური ქსელების მშენებლობას და დამყარებულია შემთხვევით მონაწილეობაზე. ამ ტიპის მოძრაობები, ხშირად, სპონტანურად იწყება და შემდგომ დიდ საპროტესტო ტალღაში გადაიზრდება ხოლმე. „ზემოდან ქვემოთ“ მობილიზაციის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიები უქმნიან საფუძველს ადგილობრივი ორგანიზაციების/სამეზობლოების შექმნას და ეს უკანასკნელი, ხშირად, რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ატარებს.[15]

ურბანული მოძრაობების წევრები სხვადასხვა სოციალური კლასის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც წევრობა განისაზღვრებოდა, მაგალითად, წარმომავლობის (ისე, როგორც ეს მოხდა აშშ-ს ქალაქებში 1960-70-იან წლებში, ლათინო და აფრო

[7] Hirst, P. (2005). *Space and Power: Politics, War and Architecture*. *ISBN: 978-0-745-63455-5*, 48-51
[8] Hirst, P. (2005). *Space and Power: Politics, War and Architecture*. *ISBN: 978-0-745-63455-5*, 23-56.
[9] Hirst, P. (2005). *Space and Power: Politics, War and Architecture*. *ISBN: 978-0-745-63455-5*, 76-89.
[10] Pickvance, C. . (2003). Symposium on Urban Movements. *International Journal of Urban and Regional Research. 27: 102-177.*, 12-19.
[11] Castells,M. (1983). *The city and the grassroots: a cross-cultural theory of urban social movement.* London: Edward Arnold.
[12] Castells, M. (1977). The Urban Question. London: Edward Arnold. https://cutt.ly/uR2KkQh
[13] Fisher, R. and J. Kling. . (1993). *Mobilizing the community: local politics in the era of the global city.* Newbury Park, Sage. 12-23
[14] Fisher, R. and J. Kling. . (1993). *Mobilizing the community: local politics in the era of the global city.* Newbury Park, Sage. 8-10
[15] .Fainstein SS. New Directions in Planning Theory. *Urban Affairs Review*. 2000;35(4):451-478. doi:10.1177/107808740003500401

ამერიკელების პროტესტის დროს), ან სოციალურ კლასის (გაფიცვები საცხოვრებლის ქირასთან დაკავშირებით), ან ასაკობრივი (იტალიური სოციალური ცენტრის მოძრაობები) მახასიათებლებით[16].

ქალაქურ საკითხებზე საზოგადოების მობილიზაციის შესწავლა აქტუალურია ინტერდისციპლინურ კვლევებში, სადაც მკვლევრები სწავლობენ სამოქალაქო მოძრაობებს, სოციალურ პროტესტებს, მოქალაქეთა ჩართულობასა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ურბანულ პროტესტებზე დაკვირვებით, ერთდროულად ვიძენთ ახალ ცოდნას მოძრაობაში გაერთიანებული მრავალფეროვანი ჯგუფებისა თუ საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების შესახებ. ესენი შეიძლება იყვნენ ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები, სამეზობლოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც აქტიური კომუნიკაცია აქვთ საერთაშორისო დონეზე სხვა ქვეყნების ურბანულ მოძრაობებთანაც კი. მათი გაერთიანების მიზეზები კი შეიძლება უკავშირდებოდეს საცხოვრებლის, გარემოსდაცვის თემატიკას და სხვა პრობლემატურ საკითხებს.

კასტელსი წერს, რომ როგორც წესი, ურბანული სოციალური მოძრაობების მოთხოვნები არის ნათელი და გაზომვადი.[17] მაგალითისთვის, როცა მოძრაობები ეფუძნება ქალაქის ისეთ პრობლემებს, როგორიც არის უკანონო მშენებლობები, საცობები ქალაქის ქუჩებში და ა.შ., ამ თვალსაზრისით, ურბანული სოციოლოგიისთვის საინტერესოა ის, თუ როგორ ყალიბდება ესა თუ ის მოთხოვნა და რამდენად სრულდება ურბანული მოძრაობების მოთხოვნები ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

სამეცნიერო ლიტერატურა ამ კუთხით ბევრ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. შედეგები მრავალფეროვანია, წარმატებულიც და წარუმატებელიც. წარმატებული პროტესტების რიცხვი საგრძნობლად დამოკიდებულია მოსახლეობის მობილიზაციის დონეზე: რაოდენობასა და აქტივობაზე.[18] თუმცა, წარმატებული პროტესტების ისეთი რიცხვიც არსებობს, როდესაც პროტესტი სოციალურ მოძრაობად გარდაქმნას ვერ ახერხებს. ამ ტიპის პროტესტების მთავარი შედეგი ლოკალურ დონეზე მიღწეული წარმატებაა.[19] შესაბამისად, ურბანულ სოციალურ მოძრაობებს თავისი სიცოცხლის ციკლი აქვთ. ამ ციკლში გვხვდება მოძრაობების გარდაქმნა ინსტიტუციურ ორგანიზაციებად, რომელთაც აქვთ საკუთარი წესები და კანონები ან მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შემთხვევები. ლიტერატურაში ამ „გარდაქმნებს“ დასასრულის დასაწყისს უწოდებენ. ურბანული საპროტესტო ჯგუფების ფორმალურ ან „ზემოდან-ქვემოთ“ მართულ ჯგუფებად პოზიციონირება პროტესტის მუხტს აქრობს. თუმცა, ამ ტიპის ცვლილებამ შეიძლება კონკრეტული პროტესტისთვის წარმატებული შედეგი მოიტანოს, მაგრამ პროტესტის სოციალურ მოძრაობად გარდაქმნას ხელი შეუშალოს.[20]

ურბანული სოციალური მოძრაობების კვლევის პროცესში ყველაზე საინტერესო სწორედ გამარჯვებებისა და დამარცხებების შესახებ ისტორიების შესწავლაა. ამ კონკრეტულმა შემთხვევებმა მკვლევრებისთვის სოციალური ცვლილებების შესახებ ახალი ცოდნა უნდა მოიტანოს.

კასტელსი ურბანული სოციალური მოძრაობების შესწავლისთვის ახალი თეორიული ჩარჩოს ძიებით წლების განმავლობაში იყო დაკავებული. თავის ნაშრომში, „ურბანული შეკითხვა“ (The Urban Question), რომელიც 1972 წელს წარადგინა, წერდა, რომ ურბანულ მოძრაობებს შეეძლოთ კლასობრივ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ. მისი მოსაზრებით, ურბანული მოძრაობები განუზომელ როლს თამაშობს სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ მიიჩნევდა მართებულად კასტელსი ურბანულ მოძრაობებში სიტყვა „სოციალურის“ ჩასმას.[21] ის წერს, რომ *ურბანული სოციალური მოძრაობები არ უნდა განვიხილოთ პროგრესულისა*

[16] .Fainstein SS. New Directions in Planning Theory. *Urban Affairs Review*. 2000;35(4):457-480. doi:10.1177/107808740003500401

[17] Dikeç, M. (2001). *Justice and the Spatial Imagination. Environment and Planning A: Economy and Space*, 33(10), 1785–1805. https://doi.org/10.1068/a3467

[18] Rodriguez L. Barrio Women: *Between the Urban and the Feminist Movement. Latin American Perspectives.* 1994;21(3):32-48. Doi:10.1177/0094582X9402100303

[19] Jacobson, M. . (2007). “Urban Restructuring of Western cities and the implications for new urban social movements: case illustration of la Barceloneta”. *Paper presented at the Urban Justice and Sustainability Conference in Vancouver, Canada.*

[20] Domaradzka, *A. Urban Social Movements and the Right to the City: An Introduction to the Special Issue on Urban Mobilization*. *Voluntas* **29,** 607–620 (2018). https://doi.org/10.1007/s11266-018-0030-y

[21] Castells, M. (1972). *Urban renewal and social conflict in Paris. Social Science Information*, 11(2), 93–124. https://doi.org/10.1177/053901847201100205

და რეგრესულის კონტექსტში. სინამდვილეში, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათი საწყისები, უნდა დადგინდეს მათში ჩართვის წესები, წარმატებული და წარუმატებელი შემთხვევები, განვითარების დინამიკა, გამარჯვებისა და დამარცხების მიზეზები.

კასტელსი ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიების ჩართულობაზეც, რომელიც სოციალური მოძრაობების ორგანიზების, ფორმირების და მათზე წვდომის პროცესს ამარტივებს და წლიდან წლამდე ცვლის მიდგომებსა და მეთოდებს. კასტელსისთვის, ტექნოლოგიებთან ერთად, საინტერესოა სოციალური მოძრაობების სფეროში გარემოსდაცვითი მოძრაობებისა და სოციალური ორგანიზაციის ეკოლოგიური ხედვის შესწავლის აუცილებლობაც, ვინაიდან გარემოს დაცვის საკითხისადმი სენსიტიური მიდგომები ზოგ შემთხვევაში უფრო მეტად უწყობს ხელს კონკრეტული ჯგუფის მობილიზებასა და მათ ურბანულ მოძრაობად გარდაქმნას.[22]

საინტერესოა იმის ხაზგასმაც, თუ როგორია ურბანული სოციალური მოძრაობების ზოგადი სტრუქტურა. არსებობს მოძრაობები, რომელთაც აქვთ ფორმალიზებული სტრუქტურა, შრომის განაწილება და წევრობა. ასევე, არსებობს სრულად საპირისპირო ურბანული მოძრაობებიც, რომლებიც სტიქიურად ერთი კონკრეტული პრობლემის ირგვლივ სწრაფად და არაორგანიზებულად იქმნება. ამ ტიპის გაერთიანებაში შესაძლოა რამდენიმე ჯგუფიც კი შედიოდეს.[23] მათი მხრიდან ერთი რომელიმეს დომინირება ან ნულოვანია, ან დინამიკურად იცვლება. ასევე, განსხვავებულია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი. ურბანული მოძრაობები შეიძლება აერთიანებდეს უშუალო მოძრაობის არაფორმალურ წევრებს ან პროტესტის მონაწილეებს და ასევე, საზოგადოებას - ე.წ „მხარდამჭერებს". ეს უკანასკნელნი არიან ადამიანები, რომლებიც ამ მოძრაობის საორგანიზაციო თუ სხვა ტიპის შრომაში პირდაპირ არ ერთვებიან, თუმცა, იზიარებენ მოძრაობის ფასეულობებს, მოთხოვნებს და კრიტიკულ და მოძრაობისთვის მნიშვნელოვან მომენტში უერთდებიან მას. ასეთ კრიტიკულ და მნიშვნელოვან მომენტებს ჩვენ პროტესტს ვუწოდებთ, რომელიც სოციალური მოძრაობის მოთხოვნებისა და სურვილების გამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამასთანავე, პროტესტი განიხილება, როგორც შესაბამის პირებამდე მოძრაობის მოთხოვნებისა და საჭიროებების მიტანის საუკეთესო გზად, ვინაიდან პროტესტის ფორმა და შინაარსი მის საჯაროობას უწყობს ხელს, რაც, პირველ რიგში, საზოგადოების ყურადღებისა და მხარდამჭერების მოზიდვას ემსახურება. ასეთი პროტესტების სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია მათი პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრა.

ლიტერატურა ურბანული სოციალური მოძრაობების შესახებ აქტიურად იმეორებს მოსაზრებას, რომ ურბანული აქტივიზმის იდეა „უფლება ქალაქზე" ჩარჩოდან მოდის. ანთროპოლოგი და გეოგრაფი დევიდ ჰარვი წერს, რომ საზოგადოებისთვის ქალაქზე უფლების დაბრუნება მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია ყველა სხვა უფლების დასაცავად.[24] „უფლება ქალაქზე" თეორია დეივიდ ჰარვის მიერ ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებად იქნა აღქმული. ინდივიდუალური უფლება - გქონდეს ურბანულ რესურსებზე და სიკეთეებზე ხელმისაწვდომობა, ჰარვისთან გადაჯაჭვულია კოლექტიურ უფლებაზეც,[25] სადაც ქალაქზე უფლება ნიშნავს საზოგადოების უნარს და შესაძლებლობას, ჰქონდეს გავლენა ურბანიზაციის პროცესზე და ეს გავლენა გამოხატული იყოს საზოგადოების სურვილების ასახვით ქალაქურ სივრცეებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, მოქალაქეს - ქალაქში მცხოვრებ ადამიანს (urban citizen) უნდა შეეძლოს როგორც სამეზობლოს, ისე ქალაქის დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საბინაო კრიზისი, ჯენტრიფიკაცია,[26] საჯარო სივრცეების პრივატიზაცია, საზოგადოებისთვის საზიანო ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და ა.შ.[27]

---

[22] Purcell, M. (2002). *Excavating Lefebvre: "The right to the city and its urban politics of the inhabitant".* GeoJournal, Vol.58, No. 3 , pp.110-114. .

[23] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA* . p: 3-7; *The 4th International Conference of the International Forum on Urbanism (IFoU) 2009 Amsterdam/Delft The New Urban Question – Urbanism beyond Neo-Liberalism.*

[24] Harvey, D. (2008). The Right to the City. New Left Review, 53, 23-40.

[25] Harvey, D. (2003). *Harvey, D., "The Right to the City" International Journal of Urban and Regional Research, .* Vol.27, No. 4 pp.939-941.

[26] პროცესი, რომლის დროსაც ქალაქის ძველი, ღარიბი, უბნებიდან მოსახლეობას ასახლებენ და მათ ადგილს იკავებენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, შენობების ფიზიკური გაუმჯობესებისა და ჩანაცვლების ფონზე. https://cutt.ly/fR2KYCW

[27] Russell, B., & Reyes, O. *"Fearless Cities: the new urban movements"*, (2017, August 16). https://cutt.ly/uR2KIR2

ამ კონტექსტში, სამეცნიერო ლიტერატურა აქტიურად იყენებს ტერმინს „ნეოლიბერალური ურბანიზაცია“. ზოგადი განმარტებით, თანამედროვე ნეოლიბერალური ურბანიზაცია არის ქალაქის გარდაქმნის იმგვარი პროცესი, სადაც საჯარო და კერძო ინტერესი აქტიურად უპირისპირდება ერთმანეთს.[28] ბოლო ათწლეულია ნეოლიბერალიზმი ევროპულ ქალაქებში ახალი ტიპის ურბანულ პროცესებს წარმართავს. ამ პროცესში კერძო სექტორი მნიშვნელოვნად დომინანტ როლს თამაშობს. ქალაქის ურბანული და ეკონომიკური პოლიტიკა დერეგულაციითა და საჯარო სექტორში კერძო ინტერესების აგრესიული გატარებით ხასიათდება. ქალაქებში მიმდინარე სოციალური თუ ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ლეფევრის თეორია „უფლება ქალაქზე” ახალ მნიშვნელობას იძენს.

თავდაპირველად, ეს თეორია ბევრისთვის გაგებული იქნა, როგორც რევოლუციური თეორია, რომელსაც შეეძლო რადიკალური ურბანული ჯგუფების მობილიზება, თუმცა, დღეს მან უფრო მეტად რეფორმისტული მნიშვნელობა შეიძინა.

ახლა უკვე როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ისე პრაქტიკოსებისთვის, „უფლება ქალაქზე“ თეორია საინტერესოა როგორც ინსტრუმენტი, ურბანული სოციალური მოძრაობებისთვისა და საზოგადოების კოლექტიური მობილიზაციისთვის.

1967 წელს ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ჰენრი ლეფევრის მიერ შემოთავაზებულმა ახალმა თეორიამ „La Droit à la Ville“ (უფლება ქალაქზე) არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები გააჩინა. ლეფევრის მოსაზრებით, ქალაქზე სრული უფლება აქვთ მასში მცხოვრებ ადამიანებს, ეს კი მოიცავს როგორც ქალაქის სარგებლობის (Right to appropriation), სივრცესა და დროში გადაადგილების, ცხოვრების უფლებას, ისე მონაწილეობის უფლებას (Right to participation). ჰარვი (David Harvey) ამ უკანასკნელის ანალიზის პროცესში დასძენს, რომ ლეფევრისთან უფლება მონაწილეობაზე უფრო მეტად მიემართება „პოლიტიკურ ბრძოლას ქალაქური სივრცეებისთვის“ ან ქალაქის კოლექტიურ მართვას, რომლის დროსაც საჯარო ინტერესები მკაცრად დაცულია.

მეცნიერებმა 70-იანი წლებიდან „უფლება ქალაქზე“ თეორიის მრავალგვარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს, მაგალითად, პარსელისთვის (Mark Purcell) ეს თეორია შესაძლებელია გახდეს ნეოლიბერალურ გლობალიზაციასთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი,[29] რომელსაც აქვს ძალა, აამაღლოს ქალაქებში დემოკრატიზაციის დონე, შეამციროს უთანასწორობა და სოციალური პრობლემები. მისთვის „უფლება ქალაქზე“ თეორია პანაცეა არ არის, თუმცა, „ახალი ტიპის ურბანული პოლიტიკის კეთების“ შესაძლებლობას იძლევა, რაც გულისხმობს როგორც „ზემოდან ქვემოთ“ პოლიტიკურ ნებას - მოქალაქეები ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე „ქვემოდან ზემოთ“ ახალი ტიპის ურბანული სოციალური მოძრაობების შექმნას.[30]

საინტერესო შეკითხვაა ის, თუ რა ტიპის უფლებაზე მიუთითებენ ავტორები, როდესაც „უფლება ქალაქზე“ საუბრობენ. არის ეს განათლებაზე, ჯანდაცვასა თუ დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ქალაქის კონტექსტში, თუ ქალაქის ფიზიკური განზომილებების სარგებლიანობის უფლება? ამ კითხვაზე პასუხს ჰარვისთან ვიპოვით, რომლის მოსაზრებით, ურბანული სივრცეებისთვის ბრძოლა სხვა დანარჩენი უფლებების დასაცავად გადადგმული ნაბიჯია.

როგორც უკვე აღინიშნა, ათწლეულების განმავლობაში ამ თეორიის სხვადასხვა ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს მეცნიერებმა თუ პრაქტიკოსებმა. მაგალითად, UNSESCO-მ და UN-HABITAT-მა ლეფევრის, ჰარვის, პარსელის მოსაზრებები დაუდო საფუძვლად თავიანთ ათასწლეულის პროექტს „ურბანული პოლიტიკა და უფლება ქალაქზე“,[31] რომელიც ფოკუსირებული იყო სიღარიბის შემცირებაზე ქალაქებში ახალი კანონებისა თუ ურბანული დაგეგმვის პრინციპების შემუშავების საფუძველზე. დოკუმენტში „Millennium Development Goals and reducing poverty by identifying good

[28] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA* . p: 8-10 / *The 4th International Conference of the International Forum on Urbanism (IFoU) 2009 Amsterdam/Delft The New Urban Question – Urbanism beyond Neo-Liberalism.*

[29] Purcell, M. (2002). *Excavating Lefebvre: The right to the city and its urban politics of the inhabitant". GeoJournal, Vol.58, No. 3, pp.99-108.*

[30] Purcell, M. (2002). *Excavating Lefebvre: The right to the city and its urban politics of the inhabitant". GeoJournal, Vol.58, No. 3, pp.109.* .

[31] UNESCO & UN-HABITAT. (2009). *"Urban Policies and the Right to the City: rights, responsibilities and citizenship".* Paris, Most2.

practices and initiatives in law and urban planning"[32] ლეფევრი გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ მან თეორიის პრაქტიკული ასპექტები არ შემოგვთავაზა. „ლეფევრის შრომა ბუნდოვანია. უცნობია ამ თეორიის იმპლემენტაციის გზები" და შესაბამისად, [აღნიშნულ დოკუმენტში] „გადმოცემულია პრაქტიკული გზები იმისა, თუ როგორ უნდა იურთიერთონ სახელმწიფომ და ქალაქის მაცხოვრებლებმა საჯარო სივრცეებთან მიმართებაში."[33] თუმცა, თავად ეს მოსაზრებაც ვერ უძლებს კრიტიკას, ვინაიდან „უფლება ქალაქზე" თეორია თავისი არსით უკვე ეწინააღმდეგება საჯარო სივრცეებთან დაკავშირებულ ნებისმიერი ტიპის კონსენსუსს კერძო სექტორთან მოლაპარაკების დროს.

დღეისთვის მკვლევრები ამ თეორიას ურბანული კვლევის ჩარჩოდ და ანალიტიკურ მოდელად იყენებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სურთ, შეისწავლონ ერთ კონკრეტულ ადგილზე ან ერთი კონკრეტული ქალაქური პრობლემის ირგვლივ დაწყებული პროტესტი. სწორედ ამ ტიპის კვლევა ჩატარდა ბარსელონაში დაწყებულ სოციალურ მოძრაობებზეც, რომელიც შემდგომ ავტორის მიერ „უფლება ქალაქზე" თეორიის კონტექსტში გაანალიზდა. „ბარსელონეტას" ისტორია ქალაქის ზღვისპირა უბანში დაწყებულ პროტესტებზე, მათ ურბანულ სოციალურ მოძრაობად გარდაქმნის გზებსა და საშუალებებზე გვიამბობს.

ბარსელონეტა (Barceloneta)

მე-18 საუკუნის შუა პერიოდში ქალაქ ბარსელონაში (ესპანეთი) ეკონომიკური და დემოგრაფიული ზრდა დაიწყო, რასაც, ბუნებრივია, ახალი საცხოვრებლების მშენებლობაც მოჰყვა. სართულების მატებასთან ერთად, ქალაქში იზრდებოდა სხვა მაღალი შენობების რიცხვიც და დეკადის შემდეგ ბარსელონა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქად იქცა ესპანეთში. ამ დასახლებებს "quarts de casa" „მეოთხედ სახლებს" უწოდებდნენ და მასში, ძირითადად, მრავალრიცხოვანი ოჯახები ცხოვრობდნენ, რომელთაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, სანიტარია და ქალაქური ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ.[34]

ამ პრობლემების პასუხად, 1830-იან წლებში ბარსელონაში პირველი სამეზობლო გაერთიანებები და ასოციაციები შეიქნა, რომლებიც უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობებისთვის იბრძოდნენ. ფრანკოს დიქტატურის პერიოდში ყველა ასეთი გაერთიანების არსებობა აიკრძალა, თუმცა, 1964 წლისთვის დაარსდა Associació de Veïns de Barceloneta, რომელმაც ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა, როგორც მოსახლეობაში, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგის ექსპერტებშიც, რომელთა მიერაც რამდენჯერმე იქნა შემუშავებული ქალაქის რესტრუქტურიზაციის გეგმა.

1975 წლისთვის, როდესაც ფრანკო გარდაიცვალა, ესპანეთის დემოკრატიზაციის პროცესიც დაჩქარდა, რაშიც სოციალურმა მოძრაობებმა და სამეზობლო ასოციაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. პირველი დემოკრატიული არჩევნები ბარსელონაში 1979 წელს ჩატარდა და სოციალისტებისა და კომუნისტების კოალიციის გამარჯვებით დასრულდა. 1986 წელს ცნობილი გახდა, რომ ბარსელონა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებდა, რის გამოც ქალაქის მერიამ დიდი ურბანული ცვლილებები დააანონსა, დაიწყო მარკეტინგული კამპანიები ინვესტორების მოსაზიდად, საბოლოოდ კი ქალაქი ნეოლიბერალური ურბანული პოლიტიკის ჩარჩოებში ჩაჯდა.[35]

განსაკუთრებით საინტერესოა ბარსელონეტას უბანი, რომელიც შუასაუკუნეების ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, თუმცა, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში და შემდეგ უკვე რკინიგზის გაყვანისას, სამეზობლო ცენტრს ჩამოშორდა. მიუხედავად ამისა, ოლიმპიური თამაშებისთვის ქალაქის ახალ ხედვებში ბარსელონეტას სამეზობლოც მოექცა. რეაბილიტირდა ქუჩები, რკინიგზა გვირაბში მოექცა, გვირაბის თავზე კი დიდი სარეკრეაციო სივრცე გაშენდა, რამაც სამეზობლოს

[32] UNESCO & UN-HABITAT 2016, / The Right to the citiy and cities for all/ p.10-17 / https://uploads.habitat3.org/hb3/Habitat%20III%20Policy%20Paper%201.pdf

[33] UNESCO & UN-HABITAT. (2009). *"Urban Policies and the Right to the City: rights, responsibilities and citizenship".* Paris, Most2.

[34] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA . The 4th International Conference of the International Forum on Urbanism (IFoU) 2009 Amsterdam/Delft The New Urban Question – Urbanism beyond Neo-Liberalism.* https://cutt.ly/nR2KZn8

[35] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA https://cutt.ly/nR2KZn8.

პოპულარობა როგორც ადგილობრივებში, ისე ტურისტებსა და ინვესტორებში საგრძნობლად გაზარდა.

ნეოლიბერალურმა გარდაქმნამ უბანი სულ მალე ქალაქის ყველაზე პოპულარულ სამეზობლოდ აქცია, რის შემდეგაც გაიზარდა საჯარო სივრცეების პრივატიზაციის შემთხვევები, უძრავი ქონების ფასი გაიზარდა, ბულვარის ტერიტორიაზე სრულად დაინგრა ძველი საცხოვრებლები და მათ ნაცვლად ტურისტებისთვის სასტუმროები აშენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები შეუქცევადი იყო, მათ პროტესტის გარეშე არ ჩაუვლია. ბარსელონეტას სამეზობლო ბარსელონაში ერთ-ერთ ყველაზე ძველ სამეზობლოდ მიიჩნეოდა, რომელსაც ჰქონდა ძლიერი იდენტობა, სოციალური კავშირები და ქალაქის ამ ნაწილთან დაკავშირებული კულტურული თუ ისტორიული ფესვები. ისინი გრძნობდნენ, რომ ახალი ურბანული პოლიტიკა მათი ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს სრულებით ცვლიდა.[36] ბარსელონეტას სამეზობლოს დიდი ნაწილი სამოქალაქო მოძრაობების წევრი იყო. ერთ-ერთ ასეთ ყველაზე ცნობილ გაერთიანებას წარმოადგენდა „Associació de Veïns de Barceloneta", რომელიც ფრანკოს დიქტატურის დროს იდევნებოდა, თუმცა, სოციალისტური პარტიის დომინირების პერიოდში ის კვლავ გამოვიდა იატაქვეშეთიდან და თანდათან დაიწყო ქალაქურ პრობლემებზე საუბარი.

2004 წელს ქალაქის ხელისუფლების სივრცითი დაგეგმარების ახალ სტრატეგიას Pla General Metropolita (PMG) მოეწერა ხელი, ბარსელონეტას სამეზობლო კი ასოციაციის (Associació de Veïns de Barceloneta) სახელით ესწრებოდა სტრატეგიის შესახებ საჯარო შეხვედრებს და მხარს არ უჭერდა სტრატეგიის განხორციელებას. თუმცა, ბარსელონეტას სამეზობლოში მცხოვრებლებმა მალევე შეამჩნიეს, რომ ასოციაციის Associació de Veïns de Barceloneta წევრები ქალაქის ხელისუფლებასთან და მათ შორის, ინვესტორებთან/დეველოპერებთან „დაახლოვდნენ" და გარკვეულ სიკეთეებსაც იღებდნენ მათთან თანამშრომლობით, რამაც იძულებული გახადა ბარსელონეტას სამეზობლო და სხვა ჯგუფები, გამოყოფოდნენ ასოციაციას და დამოუკიდებლად დაეწყოთ ბრძოლა. მათ ცალკე მოძრაობა „L'Ostia" შექმნეს და ბარსელონეტას უბანში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და საჯარო სივრცეებს იცავდნენ. მალე L'Ostia-ს ქალაქის სხვა ურბანული მოძრაობებიც შეუერთდნენ. ასე გაფართოვდა მათი ბრძოლის არეალებიც ქალაქის სხვა ნაწილებში.

იმ დროისთვის ამ უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის ურბანულმა სოციალურმა მოძრაობამ მოახერხა თვითორგანიზება და კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ახალი პრეცედენტები შექმნა. მაგალითისთვის, ორგანიზდებოდა აქციები სხვადასხვა მშენებლობის წინააღმდეგ, იგეგმებოდა ყოველკვირეული შეხვედრები, ასევე, შეიქმნა სამოქალაქო მოძრაობების მონაწილეობითი პლატფორმა „Barceloneta habla e decide" („ლაპარაკობს და წყვეტს ბარსელონეტა". მოგვიანებით შეიქმნა „Llei de Baris" ბარსელონეტას სამეზობლოს აქტი), რომლის მიხედვითაც, მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა დაიწყეს. მოქალაქეებს შეეძლოთ, ერთად ემუშავათ და მოეძიათ ფინანსებები სამეზობლოს გაუმჯობესებისთვის. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროტესტი, რაც ბარსელონეტას სამეზობლოს მიერ იყო ორგანიზებული, ეხებოდა 120 მეტრიანი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს Hotel Vela-ს მშენებლობას. ეს სასტუმრო პორტის ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო, არ არსებობდა ნებართვა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან და არ იყო წარმოდგენილი პროექტის გეგმა. საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, სასტუმრო მაინც აშენდა.[37]

ურბანული სოციალური მოძრაობები XXI საუკუნეში

ნაშრომში „ვისია ქუჩები? - ურბანული სოციალური მოძრაობა და სივრცის პოლიტიზება," ავტორი ქრისტოფერ სმიტი (Christopher B.R.Smith),[38] წერს რომ ურბანული სოციალური მოძრაობების მიერ *სივრცის პოლიტიზებამ* ქალაქის, როგორც პრობლემის, პოლიტიკურ დღის წესრიგის სათავეში მოქცევა განაპირობა.

[36] Vilanova., *"L'urbanisme de la Barceloneta" in "Celebracio del 1/4 de mil.lenni de la Barceloneta,"* edited Serra, P., Barcelona, Ajuntament de Barcelona, 2003.

[37] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA https://cutt.ly/nR2KZn8

[38] Smith, C. (2003). *"Whose Streets?": Urban Social Movements and the Politicization of Space.*

ავტორი 1990 წლის დასაწყისში ლონდონში დაწყებულ საერთაშორისო ურბანულ სოციალურ მოძრაობას აღწერს, რომელმაც იმ პერიოდში მნიშვნელოვანი პრაქტიკები მოაგროვა. მოძრაობა ეწინააღმდეგებოდა მასშტაბური გზატკეცილებისა და ქალაქის ძველ ქუჩებში ავტომობილებისთვის გზების გაყვანას. ეს პროტესტები ძალიან მალე შეფასდა, როგორც განვითარების საწინააღმდეგო და მათი მარგინალიზება დაიწყეს, რაც საპროტესტო ტალღებზე საწყისი და ალბათ, ყველაზე სწრაფი უკურეაქციაა მეორე მხარის მხრიდან. ამ შემთხვევაში „მეორე მხარედ“ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე კერძო კომპანიები.[39]

21-ე საუკუნეში ქალაქების სივრცითმა ტრანსფორმაციამ ახალი ტიპის ქალაქების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. ახალ ურბანულ სამყაროში ურბანული სივრცეები სულ უფრო მრავალეთნიკური და მრავალკულტურულია.

სმიტი წერს, რომ რამდენადაც მაღალია ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაცია, იმდენადვე დაბალია ურბანულ სივრცეებზე მოსახლეობის კონტროლი და ქალაქების მმართველებისგან საზოგადოების მოთხოვნებზე რეაგირება. ურბანიზაციის მაღალი დონის პარალელურად, ქალაქებში არსებული პრობლემები გამრავალფეროვნდა როგორც შინაარსობრივად, ისე რიცხობრივად. ამ მოვლენების საპასუხოდ, ურბანული სოციალური მოძრაობების მიზნები, მოთხოვნები და მათი თავისებურებებიც იცვლება.[40]

გაჩნდა მოსაზრება, რომ ურბანულმა სოციალურმა მოძრაობებმა 21-ე საუკუნეში ცვლილებები განიცადა. კასტელსი წერს, რომ თანამედროვე მოძრაობები მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერნეტიზაციის პროცესთან და სოციალურ ქსელებთან. მათი მობილიზაციისა და გამოხატვის ფორმები დამოკიდებულია ინტერნეტში მათსავე აქტიურობასთან. ტექნოლოგიების ცვლილების მიუხედავად, ურბანული სოციალური მოძრაობების მოთხოვნათა ორი ხაზის გამოკვეთა მაინც შესაძლებელია. პირველი უკავშირდება ბრძოლას კონკრეტული ურბანული სივრცეებისთვის, ადეკვატური საცხოვრებლისა და ურბანული მომსახურებით სარგებლობის უფლების აქტუალიზებას (1), ხოლო მეორე ხაზი გარემოს დაცვის მოძრაობებად (2) შეგვიძლია შევაფასოთ. ამ ტიპის მოძრაობებისთვის მნიშვნელოვანია ურბანული გარემოს ხარისხის ზრდა და ქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესება.[41] არის მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ ურბანული მოძრაობების მუტაციამ შესაძლოა დამატებითი სივრცითი ფრაგმენტაციაც გამოიწვიოს. ამ საკითხის შესახებ არაერთი ავტორი წერს. მათი აზრით, ქალაქურ სივრცეში ურბანული სოციალური მოძრაობები არ უნდა იყოფოდეს კონკრეტული სივრცის ან კონკრეტული პრობლემის გარშემო. ძლიერი მოძრაობები უნდა ქმნიდეს ურბანული პრობლემების ირგვლივ მომუშავე თემს (community). ასეთი თემები ბევრად უფრო ძლიერი და ეფექტიანი ბრძოლების წინაპირობად არის დასახული.[42]

ურბანული სოციალური მოძრაობების შესაძლებლობები უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ქალაქის სივრცის დაცვისა და შენარჩუნების კონტექსტში, ასევე, საზოგადოების ფორმირებაში შეტანილი წვლილის პარალელურადაც.[43] ურბანულ მოძრაობებს აქვთ შესაძლებლობა, ჩამოაყალიბონ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც აქვს ქალაქზე უფლების როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი ასპექტების შესახებ ცოდნა, შეუძლია სწრაფი მობილიზება და გაერთიანება კონკრეტული საკითხის გარშემო, აყალიბებს მოთხოვნებს და რეაგირებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქური სივრცის გარდაქმნა კერძო საკუთრებად და მისი ფრაგმენტაცია როგორც სივრცის, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მსოფლიო ქალაქებში ინტენსიურად მიმდინარეობს. დეველოპერების მიერ „ძალადობრივად დაკავებულს“ უწოდებს სმიტი ქალაქურ სივრცეებს და სტატისტიკებსა და ციფრებზე „გაცვლილად“ აღიქვამს. ვინ „ცვლის“ ან ვინ „იკავებს“ და რაც მთავარია, ვინ „აწარმოებს ამ მოლაპარაკებებს“? ეს არის მთავარი კითხვები დღევანდელი ურბანული სოციალური მოძრაობებისთვის. ამ მოძრაობებს სურთ,

---

[39] Serbulo, Leanne Claire, ""*Whose streets? Our streets!" Urban Social Movements and the Transformation of Everyday Life in Pacific Northwest Cities,* 1990-1999" (2008). Dissertations and Theses. Paper 737. https://doi.org/10.15760/etd.737

[40] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA* https://cutt.ly/nR2KZn8

[41] *(Castells, "Space of Flows, Space of Places: Materials for a Theory of Urbanism in the Information Age",* 2002)

[42] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA* https://cutt.ly/nR2KZn8

[43] Castells, M. *The Urban Question: A Marxist Approach, 1972*

რომ მათი კითხვების ადრესატებს შეახსენონ, რომ ქალაქურ სივრცეებზე უფლება სწორედ საზოგადოების ხელშია. შემთხვევითი არაა, რომ სმიტს დევიდ ჰარვის ციტატიდან ნაწყვეტი მოჰყავს, სადაც ჰარვი წერს, რომ „მოთხოვნა სივრცის განთავისუფლების შესახებ ... [სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ჩარევებისგან] ახლებურ სურათს ქმნის".[44] ამ ახლებურ სურათში ურბანული სოციალური მოძრაობების მოთხოვნები მკაცრად ჩამოყალიბებული, სტრუქტურირებული და რაც მთავარია, სისტემურია. სმიტისთვის ლონდონური სოციალური ურბანული მოძრაობების მიერ „ქუჩების დაბრუნების" მოთხოვნები სწორედ ჰარვის ამ ნაწყვეტის სრული გამოხატულებაა.

პროტესტები თავისთავად არ ჩნდება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია კითხვები და შემდგომ რეაქციები ამ კითხვებზე. ამიტომაც არის, რომ ურბანული სოციალური მოძრაობების შესწავლის კონტექსტში, მნიშვნელოვანია იმ გზების და მოვლენების ძიება, რამაც კონკრეტული „ბრაზი" პროტესტად და მოძრაობად გადააქცია.

ურბანული მოძრაობები საქართველოში: კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ცალკეულ უბნებსა თუ ქალაქის ცენტრში დაწყებული საზოგადოებრივი პროტესტი მოსახლეობისთვის საქალაქო გამოწვევებთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ურბანულ სივრცეებთან დაკავშირებული რამდენიმე მასშტაბური პროტესტი წარმოიშვა. მათ შორისაა: ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის", „პანორამა თბილისის" და ბათუმის ბულვარში სასტუმრო „რივიერა ბათუმის" წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო გამოსვლები (რივიერა ცათამბჯენების გარეშე, 2019). ქალაქური სივრცეების „დაცვასთან" დაკავშირებული მოძრაობები ხშირად მწვანე სივრცეების დაცვას ან არასასურველ/უკანონო მშენებლობებს უკავშირდება. ყველა ამ ტიპის პროტესტს საერთო ის აქვს, რომ საზოგადოება გამოთიშულია ამ პროცესებიდან და მათ ინფორმაცია მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ მიეწოდებათ. ქალაქების მართვაში მწირია მოქალაქეთა ჩართულობის გამოცდილება. არსებული მექანიზმები კი, მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ ჩართულობას ურბანული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამგვარ პირობებში, თბილისისა და ბათუმის მაგალითზე, აქტიურად ჩნდება პროტესტის კერები, რომლებსაც სახელმწიფო ინსტიტუტებთან, კერძო სექტორთან თუ ქალაქური სივრცეებით დაინტერესებულ სხვა ჯგუფებთან წინააღმდეგობის საერთო ისტორიები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ქალაქებისთვის პრობლემა საერთოა, თითოეულ მათგანში დაწყებული საპროტესტო ტალღები ურბანულ სოციალურ მოძრაობებად ვერ ყალიბდება. პროტესტების მიმდინარეობაში შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია: მათი ლოკალური გამარჯვებებისა თუ დამარცხებების შემდეგ, საპროტესტო ტალღა მასშტაბურ ხასიათს ვერ იძენს და სისტემურ პრობლემებთან ბრძოლის მუხტი მალევე ქრება.

თბილისსა და ბათუმში დაწყებული ურბანული პროტესტების განხილვა, საპროტესტო ჯგუფების წევრთა მოსაზრებები და მათი სუბიექტური აღქმები არის შესაძლებლობა, საქართველოს კონტექსტში გავიაზროთ „უფლება ქალაქზე" თეორია, მიმოვიხილოთ ამ თეორიის, როგორც ინსტრუმენტის, პერსპექტივები ქართული ურბანული პროტესტებისთვის.

ნაშრომის თავში წარმოდგენილმა ისტორიამ ბარსელონეტას სოციალური ურბანული მოძრაობის შესახებ, ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოცდილებები დააგროვა. ამ მოძრაობისთვის „უფლება ქალაქზე" თეორია მრავალმხრივ სასარგებლო გამოდგა, რომელიც, ერთი მხრივ, აღმოჩნდა ინსპირაცია პროტესტის მონაწილეებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ინსტრუმენტი სამომავლო გეგმებისა და ტაქტიკების შემუშავებისთვის.

კვლევაში გაანალიზებული ქართული ურბანული პროტესტები ქალაქზე უფლების საკითხის აქტუალიზებას როგორც სამართლებრივი, ისე საპროტესტო ბრძოლის გზით ახდენს. პროტესტის ენა გადაჯაჭვულია ქალაქური სივრცეების სარგებლობის უფლებასთან, მათი არგუმენტა-

[44] Serbulo, Leanne Claire, *""Whose streets? Our streets!" Urban Social Movements and the Transformation of Everyday Life in Pacific Northwest Cities,* 1990-1999" (2008). Dissertations and Theses. Paper 737. https://doi.org/10.15760/etd.737

ციის დიდი ნაწილი დაკავშირებულია, მაგალითად, მოსახლეობისთვის საჯარო სივრცით სარგებლობის უფლების შელახვასთან.

სხვადასხვა ურბანული საპროტესტო მოძრაობის მაგალითზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროტესტი ქალაქური სივრცის დასაცავად სწორედ ქალაქზე საზოგადოების უფლების მოტივით იწყება. ასეთ დროს ერთი პრობლემის ირგვლივ პერმანენტულად იკრიბება ადგილობრივი მოსახლეობა. მათ გვერდს უმაგრებენ სხვა ორგანიზაციების ან სამეზობლოების წევრები. პროტესტის სტრატეგიები, კამპანიები და ეტაპები იგეგმება კოლექტიურად, გადაწყვეტილებები კი მიიღება პროტესტის მონაწილეების ჩართულობით.

„უფლება ქალაქზე" თეორია, როგორც ინსტრუმენტი, გამოყოფს პროტესტის ისეთ ფორმებს, როგორიც შეიძლება იყოს კონკრეტული სივრცის დაკავება, საჯარო სივრცეში პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, კულტურული აქტივობების ორგანიზება. მეორე მხრივ, ქალაქზე უფლების კონცეფცია ურბანული სოციალური მოძრაობებისთვის შესაძლებელია გაგებულ იქნას დიალოგის გზად ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ეს გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის მოთხოვნას, რომელიც დაყენებულია თავად მოსახლეობის მხრიდან და ასევე, ჩართულობის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან, შეთანხმებებს, მრგვალ მაგიდებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, თანამშრომლობას ინსტიტუციურ დონეზე და ა.შ.

„უფლება ქალაქზე" კონცეფცია მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული მისი ფართო თეორიული შინაარსის გამო. თუმცა, ეს შენიშვნა სასარგებლოც შეიძლება იყოს განსხვავებული ადამიანებისა და ინტერესების ჯგუფების ერთ პრობლემურ საკითხზე მობილიზაციისთვის. თეორია იძლევა საშუალებას, ერთმანეთს დაუკავშირდნენ ის სოციალური მოძრაობები, რომელთაც აქვთ განსხვავებული გამოცდილება, ინტერესთა სფერო, დღის წესრიგი. მაგალითისთვის, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პირობებისთვის მებრძოლი მოძრაობები შეიძლება გაერთიანდნენ მიგრანტი ბავშვების განათლების პირობების გაუმჯობესებისთვის მებრძოლ მოძრაობებთან. ორივე ჯგუფს აერთიანებს ერთი პრობლემა - ისინი იბრძვიან საკუთარი უფლებისთვის ქალაქში, რომელიც მათ პირველად საჭიროებებს უნდა უზრუნველყოფდეს.

ქართულ რეალობაში ისეთ პროტესტებს, რომლებიც კულტურული თუ ისტორიული ძეგლების გადარჩენას ეხება, აქტიურად უჭერენ მხარს გარემოს დამცველები, მწვანე აქტივისტები და ა.შ.,

რაც, პირველ რიგში, მათი მხრიდან წარმოადგენს მცდელობას, გაიაზრონ პრობლემების საერთოობა. ამასთანავე, ცალსახაა, რომ ამ ჯგუფების განსხვავებულ მოთხოვნებს ჰყავს ერთი ადრესატი - სახელმწიფო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ურბანული პრობლემა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხზე მებრძოლ ჯგუფთა ჩართვას საჭიროებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ქვემოთ განვიხილავთ, არა უშუალოდ მოძრაობებს, არამედ მოძრაობის წევრებს უკავშირდება. „უფლება ქალაქზე" კონცეფცია შეიძლება გახდეს დამაკავშირებელი ხიდი ერთი პრობლემის ირგვლივ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის. „უფლება ქალაქზე" თეორია სოციალური მოძრაობებისთვის ამარტივებს რთულ პროცესებს და მთავარი მოთხოვნებისა თუ პრობლემური საკითხების მარტივ და ყველასთვის გასაგებ გზავნილამდე დაყვანის შესაძლებლობას იძლევა.[45]

[45] R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). *THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA* https://cutt.ly/9R2LaAn

ურბანული პროტესტები: გამოწვევები

თბილისში ოქროს უბანში და ბათუმში ბარათაშვილის 24-ში დაწყებული ურბანული პროტესტების მაგალითზე

[თბილისი - „პარკი ოქროს უბანს“]

„პარკი ოქროს უბანს“ - ამ მოთხოვნით დაიწყო საპროტესტო აქცია თბილისში, ოქროს უბანში, ნინოშვილის, ჩუბინაშვილის, ფოცხვერაშვილისა და კონსტიტუციის ქუჩებს შორის არსებულ ტერიტორიაზე. ადგილობრივი მოსახლეობა, არქიტექტორებთან, ქალაქმგეგმარებლებთან და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად, თბილისის მერიისგან ქალაქის ამ უბანში მწვანე სივრცისა და სპორტული მოედნის მოწყობას ითხოვდა.[46] XIX საუკუნეში თბილისის ამ უბანში საარტილერიო მოედანი აშენდა, თუმცა, ეს ტერიტორია თბილისის მაცხოვრებლებისთვის სპორტულ ცხოვრებასთან ასოცირდება.

1930-იან წლებში ოქროს უბანში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი გაიხსნა, არსებობდა დარბაზები სხვადასხვა სპორტის მოყვარულთათვის, საცხოვრებლები სპორტსმენებისთვის. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკავებული ჰქონდა სტადიონს. პოსტ-საბჭოთა პერიოდში ეს ტერიტორიები „ცენტრ პოინტმა“ იყიდა, შემდეგ თბილისის

ოქროს უბანი, 2020

ფოტო Facebook გვერდიდან: „პარკი ოქროს უბნისთვის“

[46] ღია წერილი თბილისის მერს, კახა კალაძეს – პარკი ოქროს უბანს https://droa.ge/?p=67821&fbclid=IwAR1wxe90s-uZU838bBSQIbN5SJS3drI89Y7YOTVcZLajBB86XznjE5rYjzY

ამ ნაწილით კომპანია „m2“ დაინტერესდა, რომელსაც ოქროს უბანში საცხოვრებელი კორპუსის აშენება სურდა. მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ „m2“-ის პროექტი ვერ განხორციელდა. ტერიტორია კვლავ თბილისის მერიის საკუთრებაში დარჩა 2020 წლის ივლისამდე, შემდეგ კი მერიამ 15 913 კვ/მ ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარა. 2020 წლის 14-15 დეკემბერს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორია შპს „სითი ლოფტმა“ იყიდა. როგორც ცნობილია, „სითი ლოფტი“ ოქროს უბანში მულტიფუნქციური ობიექტისა და ღია სივრცეების მოწყობას გეგმავს.[47]

მოსახლეობის აქტიური პროტესტი „სითი ლოფტისა“ და თბილისის მერიის შეთანხმებამდე ბევრად ადრე, 2018 წელს დაიწყო. სპეციალისტებმა ტერიტორიის განვითარების ხედვა - ოქროს უბნის (10 ჰექტარი) განაშენიანების გეგმა შეიმუშავეს. პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე უნდა დაარსებულიყო პარკი, სპორტული მოედნები, სათემო სახლი და საქალაქო მომსახურების კულტურული ცენტრი, სადაც შეღავათიან ფასებში ახალგაზრდები შეისწავლიდნენ ხატვას, მუსიკას და სხვა სახელოვნებო დისციპლინებს. პროექტთან ერთად, საპროტესტო ჯგუფმა ორჯერ მოითხოვა თბილისის მერიისგან და საკრებულოსგან პარკის შექმნა. პირველად მერიასა და საკრებულოში 600-მდე ხელმოწერა წარადგინეს, შემდეგ კი თბილისის მერიის ონლაინ პლატფორმაზე „შენი იდეა ქალაქის მერს“ პარკის დაარსების მოთხოვნას 2500-მა ადამიანმა მოაწერა ხელი.[48]

პროტესტის დინამიკა

ოქროს უბანში დაწყებული პროტესტის დინამიკის გაცნობისთვის, კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები პროტესტის მონაწილეებთან. მიღებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, უბანში პროტესტი რამდენიმე ადამიანის ინიციატივით დაიწყო. მათ ნაწილს არსებულ ტერიტორიებთან პროფესიული საქმიანობა აკავშირებდა. როგორც კვლევის რესპონდენტი და პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს, პირველ ეტაპზე ჯგუფის მხრიდან ქალაქგანახლების ახალი მიმართულების დაფუძნების სურვილი გაჩნდა. მისი თქმით, იდეა ოქროს უბნის განახლებასთან დაკავშირებით, ეფუძნებოდა მეცნიერულ მიდგომებს, ასევე, განსაზღვრული და მკაცრად გაწერილი იყო მეთოდოლოგია, რის ფარგლებშიც მოხდებოდა მათი მხრიდან, როგორც ოქროს უბნის განახლების კონცეფციის, ისე მუნიციპალიტეტთან საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) მხარდაჭერით, „რეალურმა ლაბორატორიამ“ (მოქალაქეების ჯგუფმა) , რომელსაც კონსულტაციას უწევდნენ გერმანელი ექსპერტები (Institute of Urban Planning and Regional Planning, Technical University of Berlin (ISR, TU Berlin; Aachen Rhine-Westphalia Technical University Institute of Urban Planning and European Urbanism (ISEU, RWTH Aachen) ოქროს უბნის განაშენიანების გეგმა შეიმუშავა. გეგმაზე მომუშავე ადამიანებს სურდათ, როგორც ოქროს უბანში მცხოვრები ადგილობრივების, ისე ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების პროცესში ჩართვა. სამუშაო პროცესის წინსვლას ხელი შეუწყო სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მოძიებამაც, მათ შორის არქიტექტორებისა და სოციოლოგების, რომელთაც უნდა გამოეთქვათ აზრი ოქროს უბნის განვითარების ხედვებთან დაკავშირებით. მათ შეიმუშავეს სპეციალური კითხვარი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებების არტიკულირებას მოახდენდა.

„ადამიანებზე ორიენტირებული დაგეგმვა ქალაქგანახლებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ შევეცადეთ, რომ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა ყველა იმ ადამიანის აზრი, რომელიც არამარტო ცხოვრობდა, არამედ მუშაობდა ან სეირნობდა კიდეც ოქროს უბნის ტერიტორიაზე.“

(რესპონდენტი #1, თბილისი)

[47] „ოქროს უბანში ადგილი, სადაც სკვერს ითხოვდნენ, თემურ უგულავას კომპანიამ იყიდა“, 2020 https://netgazeti.ge/news/509519/?fbclid=IwAR07QyUDllS9DMd6mKc87wokec8_EbMs88G7v8Av7Ol9w7JWJsxaLE4WiuI

[48] “პარკი ოქროს უბანს!“ – აქტივისტები თბილისში სარეკრეაციო ზონას ითხოვენ, 2020/ https://droa.ge/?p=66496

როგორც კვლევის რესპონდენტი აღნიშნავს, ადგილობრივების გამოკითხვის კიდევ ერთი მიზანი ტერიტორიის შესაძლებლობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაც იყო. პროგრამა მოიცავდა როგორც ტერიტორიის ათვისებისა და სივრცითი მიმართების საკითხებს, ისე რეკომენდაციებს ტრანსპორტის სქემის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

„რეალური ლაბორატორიის“ მიერ შემუშავებულ პროგრამაზე მუშაობა ორ წელიწად ნახევარი გაგრძელდა. ოქროს უბნის განვითარების საპილოტე პროექტი ქალაქ თბილისის მერიაში გაიგზავნა, ტარდებოდა ე.წ „ვორქშოფები“, მათ შორის უცხოელი პროფესორების მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე საჯარო შეხვედრა და პრეზენტაცია. როგორც კვლევის რესპონდენტი იხსენებს, მერიისა და საკრებულოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

საჯარო შეხვედრების გარდა, ოქროს უბანში პარკის მოთხოვნით აქციები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ტერიტორიით სამშენებლო კომპანიები დაინტერესდნენ. კვლევის რესპონდენტისა და პროტესტის მონაწილის აზრით, დღეს ქვეყანაში პრიორიტეტული პრობლემა არის კორუფცია, რამაც ქალაქური პროტესტების დიდი ნაწილი დამარცხებისთვის გაწირა.

კვლევის თითქმის ყველა რესპონდენტი ქალაქების (თბილისი, ბათუმი) მმართველ ორგანოში სამშენებლო ბიზნესთან დაწყებულ გარიგებებზე საუბრობს. „გარიგება“ დახურულ კარს მიღმა პროცესია, მათი მიმდინარეობის შესახებ საპროტესტო ჯგუფის წევრები ზუსტ ინფორმაციას არ ფლობენ, თუმცა, გარიგებების შინაარსი, მოტივები და მიზნები მუნიციპალიტეტის მხრიდან ოდნავ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებშია არეკლილი.

პროტესტის მონაწილეებს სურდათ, ოქროს უბანში პარკი აშენებულიყო. ამ შეხედულებას ადგილობრივი მოსახლეობაც უჭერდა მხარს. რესპონდენტის შეფასებით, ოქროს უბანში დაწყებულ თავდაპირველ აქტივობას პროტესტის ფორმა არ ჰქონია. მათ სურდათ, რომ მუნიციპალიტეტთან ეთანამშრომლათ, გაეცნოთ მერიის შესაბამისი სამსახურისთვის „რეალური ლაბორატორიის“ მიერ შემუშავებული პროექტი. თუმცა, როგორც კვლევაში მონაწილე პირი იხსენებს, პროცესში გარდამტეხი მოვლენები მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მერიასთან თანამშრომლობა არ შედგა.

ოქროს უბანში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო არის საინტერესო. იგი გვაძლევს შესაძლებლობას, დავაკვირდეთ საინიციატივო ჯგუფის საპროტესტო ჯგუფად გარდაქმნის პროცესს, იმას, თუ რა ეტაპებს გადიან ჯგუფის წევრები, როგორია გარდამავალი პერიოდი და რა კონკრეტული მოვლენები განაპირობებს ამ ტიპის ცვლილებებს. კვლევის რესპონდენტის თქმით, თავდაპირველად ისინი თავს საპროტესტო ჯგუფად არ თვლიდნენ. პირველ ეტაპზე, განვითარებული მოვლენებისთვის „პროტესტი“ შეუსაბამო სიტყვა იყო. (რესპონდენტი #1, თბილისი). მათ ჰქონდათ, ტერიტორიის განაშენიანების გეგმა და მოსაზრებები, რაც სურდათ, ღია და საჯარო განხილვის ფორმატში წარედგინათ მერიასთან. გარდამავალი პერიოდი მას შემდეგ იწყება, რაც მოქალაქეებს მერიის წარმომადგენლების მიმართ უნდობლობის განცდა უჩნდებათ.



პოსტერი ფეისბუქ გვერდიდან: „პარკი ოქროს უბნისთვის“, 2019 წელი

„ჩვენ დავგეგმეთ ის ადგილი და ქალაქის მმართველობას შევთავაზეთ გონივრული მართვა. არავის ვებრძოდით, თუმცა, მას შემდეგ, რაც მერიამ ყურადღება არ მოგვაქცია, რამდენჯერმე მოვაწყვეთ აქცია. ყველა ღონეს ხმარობს ქალაქის მმართველობა, რომ ჩაკეტილი იყოს და არ ჰქონდეს ადამიანებთან ურთიერთობა.“

(რესპონდენტი #1, თბილისი)

მერიასთან პირდაპირი კომუნიკაციის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, პროტესტის მონაწილეებმა ხელმოწერები შეაგროვეს და პროექტი იდეის სახით წარადგინეს თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებულ ონლაინ პლატფორმაზე „შენი იდეა ქალაქის მერს“. როგორც კვლევის რესპონდენტი იხსენებს, მერიას არც ამ შემთხვევაში გამოუხატავს ინტერესი პროექტისადმი. მას შემდეგ, რაც მერიასთან ინსტიტუციური გზით კომუნიკაციის მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა, ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ საკითხი საპროტესტო აქციების ფორმით დაეყენებინა დღის წესრიგში. მათ დაიწყეს დაგეგმილი აქტივობებისა და ოქროს უბნის განვითარების ხედვის შესახებ მოსახლეობისთვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება და მათთან გასაუბრებები. როგორც პროტესტის მონაწილე იხსენებს, თავდაპირველად საკითხით დაინტერესება ადგილობრივებში დიდი იყო. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საპროტესტო ჯგუფის წევრი ამბობს, რომ მოქალაქეების პროტესტებში ჩართვის ინტენსივობა დამოკიდებულია მათ მოტივებზე. მაგალითად, ოქროს უბნის მაცხოვრებლების მთავარი მოტივაცია იყო, არა მხოლოდ პარკით სარგებლობის რეკრეაციული მიზნები, არამედ მათი საცხოვრებელი და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

მოსახლეობის პროტესტში ჩართვის მოტივები და პროტესტიდან „გასვლის“ მიზეზები კვლევის მონაწილე რესპონდენტების აზრით, პროცესებისადმი უიმედობასა და ნიჰილიზმს უკავშირდება. ეს განცდები მეორდება თავად რესპონდენტების განწყობებშიც. მუნიციპალიტეტის არათანამშრომლური დამოკიდებულება, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრობლემები პროტესტს შეუქცევადს ხდის და ჩანასახშივე მის წარუმატებლობაზე წინასწარმეტყველებს. ამ ყოველივეს შესაცვლელად, საჭიროა, მოქალაქეებს ქალაქის პრობლემებთან თვითიდენტიფიცირების საფუძველი გაუჩნდეთ.

„როგორც ამ პროტესტის მონაწილემ და პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, მერიასთან ურთიერთობაში თავი დამარცხებულად ვიგრძენი. ფაქტობრივად, არც ყოფილა კომუნიკაცია და გაცილებით მწარე გამოცდილება აღმოჩნდა. [...] ჩვენი იდეისადმი ინტერესი ვერ აღვძარით, ვერც მერიაში, ვერც ადგილობრივებში. [...] ქვეყანაში არსებული ნეოლიბერალური კანონები დეველოპერების წისქვილზე ასხამს წყალს, მათთან კი საგნობრივ ლაპარაკს აზრი არ აქვს.“

(რესპონდენტი #1, თბილისი)

რესპონდენტის აზრით, პროტესტის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი საზოგადოების ნაკლები ჩართულობა გახდა, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მაცხოვრებლების. იგი იხსენებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქციებზე ოქროს უბანში მცხოვრები მოსახლეობა თითქმის არც იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, ურბანული პროტესტები მოძრაობებად ვერ გადაიქცევა მანამ, სანამ საზოგადოების დიდი ნაწილის დაინტერესება არ მოხდება.

საინტერესოა ისიც, რომ პროტესტის განვითარებაზე, მის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე, რესპონდენტების აზრით, დიდად ახდენს გავლენას პრობლემურ არეალში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მათი პირობები და მოლოდინები. ეს ყოველივე განაპირობებს პროტესტის სიცოცხლისუნარიანობასაც, მასში მოსახლეობის ჩართვასა და აქტიურობას.

საინტერესოა, რომ „უფლება ქალაქზე“ კონცეფციის კონტექსტში, ოქროს უბნის მცხოვრებლებმა, როგორც ინსტიტუციური გზით, ისე საპროტესტო აქციების საშუალებით სცადეს, საკუთარი მოსაზრებებისა და სურვილების დაცვა. მიუხედავად ამ ინსტრუმენტების გამოყენებისა, ოქროს უბანში განვითარებული მოვლენები ურბანული პროტესტების პირისპირ არსებულ რამდენიმე

სახის წინააღმდეგობაზე მეტყველებს. (1) ქალაქში არსებული საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც სურთ ქალაქის სივრცეებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი და დარგის სპეციალისტების მოსაზრებებზე დაყრდნობით შემუშავებული გეგმარებითი პროექტების შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა, მერიისგან დაინტერესებას ვერ ხედავენ; იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯგუფმა მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმისა და ბერკეტების გამოყენება სცადა, ქალაქის მმართველობა პროექტთან დაკავშირებული დისკუსიების, განხილვების შესაძლებლობას არ იძლევა ან ამ ტიპის შეხვედრები რესპონდენტების მხრიდან აღიქმება, როგორც „ფორმალური“. (2) „ოქროს უბნის“ პროტესტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა პროტესტში საზოგადოების მაღალი ჩართულობის კრიტიკული მნიშვნელობა, ამ პროცესში საინიციატივო ჯგუფის მხრიდან როგორც ადგილობრივების, ისე საზოგადოების დანარჩენი ნაწილისთვის ინფორმაციის გაცნობისა და მათი ჩართვის უზრუნველყოფა; საზოგადოებასთან და მერიასთან კომუნიკაციის პრობლემურობის საკითხს ქვემოთ წარმოდგენილ ურბანულ პროტესტებშიც კიდევ მრავლად შევეხებით.

ბათუმი - პროტესტი ბარათაშვილის #24-ში (ცნობილი დირიჟორის, ოდისეი დიმიტრიადის ისტორიული სახლი)

ქალაქ ბათუმში ბოლო რამდენიმე წელია საჯარო სივრცეების, განსაკუთრებით კი ისტორიული და კულტურული ძეგლების ნგრევას არაერთი საზოგადოებრივი პროტესტი მოჰყვა. კერძო საინვესტიციო პროექტების შედეგად ქალაქის ძველ ნაწილში ათობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაინგრა. მათ შორის იყო ბარათაშვილის 24 ნომერში მდებარე ისტორიული სახლი, რომლის ნაცვლად დღეს 11 სართულიანი შენობა დგას.[49]

ისტორიული სახლი ბარათაშვილის #24-ში , 2016 წელი

ფოტო: შოთა გუჯაბიძე

[49] “რის აშენება იგეგმება ბარათაშვილის #24-ში” 2017/ https://batumelebi.netgazeti.ge/news/67435/

ქალაქ ბათუმში საზოგადოების მობილიზების პრეცედენტები 2011 წლიდან იწყება, როდესაც ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვის მოთხოვნით სანაპირო ზოლში დაგეგმილი მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები იმართებოდა.[50] საზოგადოება „ბათომი“ კი ის ჯგუფია, რომელიც ბათუმელებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად იბრძვის და უპირისპირდება რეკრეაციულ ზოლში მშენებლობებს და ისტორიული შენობა-ნაგებობების ნგრევას.

ისტორიული სახლი ბარათაშვილის #24-ში , 2017 წელი

ფოტო: შოთა გუჯაბიძე

პროტესტის დინამიკა

კვლევის რესპონდენტი, რომელიც ბათუმში არსებული ისტორიული სახლის დასაცავად პროტესტში იყო ჩართული, იხსენებს, რომ შენობის მოსალოდნელი დანგრევის შესახებ დიდი ხნით ადრე იცოდა, რის გამოც რამდენიმე ადამიანთან ერთად სასამართლოში სარჩელი შეიტანა. პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ისტორიულ სახლთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილა და ძეგლს სტატუსი მიანიჭა. რესპონდენტის თქმით, არსებობს ოქმიც,[51] სადაც საბჭოს წევრებმა ერთხმად აღიარეს ისტორიული სახლისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება. მიუხედავად ამისა, 7 სართულიანი შენობის მშენებლობაზე ნებართვა მაინც გაიცა.

კვლევის რესპონდენტის თქმით, ბათუმში ჩატარებული აქციები შეიძლება დახასიათდეს, როგორც არა წინასწარ გაწერილი და დაგეგმილი, არამედ როგორც სპონტანური. მიზეზი კი ისაა, რომ საზოგადოება მოულოდნელად იღებს ინფორმაციას ისტორიული სახლების დემონტაჟისა და ნგრევის შესახებ. ბარათაშვილის 24-ში არსებული სახლის შემთხვევაშიც მოვლენები ანალოგიურად განვითარდა. სახლის ნგრევის შესაჩერებლად რამდენიმე სპონტანური აქცია გაიმა-

[50] “საზოგადოების პროტესტი ბარათაშვილის 24-ში დანგრეულ ისტორიულ სახლთან”, 2017 / https://batumelebi.netgazeti.ge/news/67569/

[51] იხილეთ დანართი 1.

რთა. აქციების პარალელურად საპროტესტო ჯგუფის წევრებს აქტიურად ხვდებოდნენ ქალაქის მმართველი ორგანოს წარმომადგენლები. რესპონდენტების თქმით, კომუნიკაციის ფორმა, რიგ შემთხვევებში, განსხვავებულია, თუმცა, მოლაპარაკებების შინაარსი, მათი მხრიდან მანიპულირებისა თუ სიცრუის შემთხვევები - ერთიდაიგივე.

„აქცია მოვაწყვეთ, სასწრაფოდ მოვითხოვეთ მერთან შეხვედრა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნებართვა არ გამიციაო და როგორ დაიწყეს დანგრევაო?! ბრდღვინავდა კაცი (გიორგი ერმაკოვი-ბათუმის ყოფილი მერი). ეს მე როგორ მაკადრესო. მოკლედ, ერმაკოვმა[52] უარყო, რომ ნებართვა ჰქონდა გაცემული, რასაც სამშენებლო კომპანიის მხრიდან ერმაკოვის მიერ ხელმოწერილი ნებართვის დოკუმენტის ამობეჭდვა და მშენებლობის ტერიტორიაზე ამ ქაღალდის გაკვრა მოჰყვა.“

(რესპონდენტი #2, ბათუმი)

სასამართლოში შეტანილი სარჩელისა და საპროტესტო აქციების მიუხედავად, ისტორიული სახლი მაინც დაინგრა. ნაცვლად ნებართვაგაცემული 7 სართულიანი კორპუსისა, იქ ახლა 11 სართულიანი შენობა დგას. პროტესტის მონაწილის თქმით, ისტორიული სახლებისა და კულტურული ძეგლების ნგრევის წინააღმდეგ დაწყებული პროტესტების დიდი ნაწილი ბათუმში, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება. რესპონდენტი ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებს: ერთ-ერთი ასეთი პრობლემათაგანია ფინანსური რესურსის არქონა. ის ამბობს, რომ აქციების დაორგანიზებისთვის - ტრანსპორტისთვის, ტექნიკური აპარატურისთვის, საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, მათ შორის, სოციალურ ქსელებში და უშუალოდ აქციების დროს ბანერებისა თუ სხვა დამხმარე საშუალებების მობილიზებისთვის, ფინანსების მობილიზებაა საჭირო. რესპონდენტის თქმით, ფინანსები, ასევე, საჭიროა სასამართლოსთვისაც. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ თანხების მოძიება ხერხდება, პროტესტი მთავარ დაბრკოლებას უკვე სასამართლოში აწყდება. ***„სასამართლოში ვერაფერს მიაღწევ, წინასწარ ვიცით ხოლმე, რომ განწირულები ვართ,“*** - ამბობს კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი. მიუხედავად სასამართლოსთან ამგვარი გამოცდილებისა, კვლევის თითქმის ყველა რესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია სარჩელის სასამართლოში შეტანა და პროცესისთვის სამართლებრივი ხასიათის მიცემა, ვინაიდან, სამართლებრივი დარღვევები და მათზე აქცენტირება მნიშვნელოვანი ბერკეტია როგორც სახელმწიფოსთან, ისე კერძო სექტორთან კომუნიკაციაში და საზოგადოების დარწმუნებაში, დაინტერესდნენ და ჩაერთონ პროცესებში.

[52] გიორგი ერმაკოვი - ბათუმის ყოფილი მერი;

ბარათაშვილის #24, 2021 წელი

ფოტო: შოთა გუჯაბიძე

„ოქროს უბანში“ განვითარებული მოვლენების მსგავსად, ბათუმში არსებული ისტორიული სახლის დაცვის პროტესტმა აჩვენა, რომ საზოგადოება, როგორც მერიასთან, ისე ქალაქის სივრცით დაინტერესებულ მეორე მხარესთან, ბარათაშვილის #24-ის შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიებთან - კომუნიკაციის შესაძლებლობას მოკლებულია. ბათუმელი აქტივისტების თქმით, ხშირია სამშენებლო კომპანიების მხრიდან ძეგლის განგებ დაზიანების შემთხვევებიც, ხოლო საპროტესტო ჯგუფებთან მერიის კომუნიკაცია რესპონდენტის #2-ის მიერ შეფასებულია, როგორც „მტრული მოლაპარაკება“. არის დახურულ კარს მიღმა შემოთავაზებებიც, რასაც საპროტესტო ჯგუფის წევრები არ თანხმდებიან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც ნეგატიური შედეგების მქონე ურბანულმა პროტესტებმა აჩვენა, იყო ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა, რამაც სხვადასხვა ტიპის ბარიერი შექმნა პროტესტის განხორციელების

პროცესში. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, ბათუმში ურბანული საპროტესტო კერები ძალიან ბევრია, თუმცა, ნაკლებია საჭირო რესურსების მობილიზების შესაძლებლობა. კვლევის მონაწილის აზრით, საკითხის პრობლემატურობას განსაზღვრავს სასამართლო პროცესების გაუმჭვირავალობა, რის მიზეზადაც საზოგადოების ნაკლები ჩართულობა სახელდება. ერთ-ერთი ბათუმელი აქტივისტის თქმით, ურბანული პროტესტების დიდი ნაწილი „დამარცხებისთვისაა განწირული", რის გამოც, მოქალაქეთა დიდი ნაწილი წინააღმდეგობრივი მოძრაობებისადმი უიმედოდ არის განწყობილი.

საქართველოში მოქალაქეზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობითი სისტემის არ არსებობა ცენტრალური საკითხია ურბანული აქტივისტებისთვის, რაც „უფლება ქალაქზე" თეორიის კონტექსტში განიხილება, როგორც ძლიერი ინსტიტუციური სისტემა, ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთაც შესწევთ დაბალანსებული, მოქალაქეებზე, ქალაქის ეკოლოგიაზე ორიენტირებული ურბანული გარემოს ფორმირება.

მდგრადი ურბანული განვითარების პროცესი არ გამორიცხავს წინააღმდეგობის პოლიტიკას, პირიქით, ეს უკანასკნელი ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მდგენელია. იგი განსაზღვრავს ჯანსაღი ურბანული გარემოს ფორმირებას და ქალაქის სიცოცხლისუნარიანობას. შესაბამისად, ამ კონტექსტში ჩნდება დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უპასუხოს მმართველმა ორგანომ საზოგადოების წინააღმდეგობას.

მდგრად ურბანულ მმართველობას უნდა შესწევდეს ძალა (1) უზრუნველყოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობა ჯანსაღ ურბანულ გარემოზე, რაც გულისხმობს ადეკვატურ საცხოვრებელს, უსაფრთხო წყალს, სანიტარულ პირობებს, კვებაზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობას. ამ ჩამონათვალში, ასევე, მნიშვნელოვანია საჯარო უსაფრთხოებისა და მობილობის უზრუნველყოფა, მწვანე სივრცეებით სარგებლობა;[53] (2) მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მმართველი ორგანოების მხრიდან ვერ ხერხდება საზოგადოებისთვის პირველადი საჭიროებების პრიორიტეტიზაცია და მათი დაკმაყოფილება, მუნიციპალიტეტმა უნდა შეძლოს და საზოგადოებას შესთავაზოს მონაწილეობითი პლატფორმები, სადაც უკვე პირდაპირ ექნება შესაძლებლობა, მოისმინოს მოსახლეობის მოსაზრებები და პროფესიონალებთან ერთად შეიმუშაოს საზოგადოების მოთხოვნებისა და მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისი გადაწყვეტილებები; (3) მესამე საკითხია, როდესაც საზოგადოებას არ აქვს საშუალება, ამ ტიპის პლატფორმებით ისარგებლოს ან თვლის, რომ ისინი არაეფექტურია და მიმართავს საპროტესტო აქციების ფორმატს; ამ შემთხვევაშიც მდგრადი ურბანული განვითარების წინაპირობაა, მმართველმა ორგანომ შეძლოს დაგროვილი უკმაყოფილების საჯარო განხილვებში გადმოტანა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მათი ასახვა ან ნაცვლად ამისა, საპროტესტო ჯგუფებისთვის არგუმენტირებული და განგრძობითი კომუნიკაციის შეთავაზება;

წინამდებარე კვლევაში ასახულმა მიგნებებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ორ დიდ ქალაქში მდგრადი ურბანული მუნიციპალური მმართველობითი სისტემის ფორმირება წლებია ვერ ხერხდება, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა აქტივისტთა ჯგუფების მმართველობით ორგანოსთან ურთიერთობის გამოცდილება.

შემდეგ თავში განვიხილავთ იმ ურბანულ პროტესტებს, რომელთა წარმატებებიც დამოკიდებული იყო არა მუნიციპალიტეტთან პოზიტიურ თანამშრომლობაზე, არამედ საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, რამაც „აიძულა" მმართველობითი ორგანო, მიეღო პროტესტის მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილება.

[53] A Guide for Municipalities: Inclusive and Sustainable Urban Development Planning, Volume 1; UN-HABITAT, 2000

URBANULI PROTESTEBI: MIRBEULI SEDEGEBI

თბილისში დიღმის ტყე-პარკში და ბათუმში „რვაფეხას“ ნაგებობასთან დაკავშირებით დაწყებული ურბანული პროტესტების მაგალითზე

[თბილისი - „დავიცვათ დიღმის ტყე-პარკი“]

2019 წლის სექტემბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცისა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დიღმის ტყე-პარკში მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებული მოთხოვნა დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების თანახმად, შპს „ანაგს“ ამ ადგილზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დროებით აეკრძალა.

მულტიფუნქციური კომპლექსის „ორანჟერეის“ მშენებლობის წინააღმდეგ საზოგადოების აქტიურობა 2018 წელს დაიწყო, როდესაც 9 არასამთავრობო ორგანიზაციამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ თბილისის მერიასა და საკრებულოს ორი თხოვნით მიმართა. პირველი საკითხი დიღმის ტყე-პარკისთვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის დაბრუნებას ეხებოდა, მეორე კი კომპანია „ანაგის“ მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის შეწყვეტას. მშენებლობა დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, „კია მოტორსის“ შენობის ადგილზე საკონცერტო და საგამოფენო სივრცეს მოიცავდა. „კია მოტორსის“ ტერიტორია დიღმის ტყე-პარკს 2009 წელს ჩამოეჭრა და მას შემდეგ მერიამ ამ ადგილს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი მიენიჭა.[54] 9 არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, დიღმის ტყე-პარკის მთლიან ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი უნდა გავრცელდეს.

დიღმის ტყე-პარკს ადგილობრივი მოსახლეობა 18 წელზე მეტია იცავს. ტერიტორია ბოლო წლებია რამდენჯერმე გასხვისდა, ტყე-პარკი ქალაქისთვის სანერგე მეურნეობის ფუნქციას ასრულებდა და სხვადასხვა ჯიშის ნერგებით მთელს ქალაქს ამარაგებდა.[55] ტერიტორია თავდაპირველად 200 ჰექტარი იყო, თუმცა, 90-იანი წლებიდან 75 ჰექტარი დარჩა.

[54] “მერიისგან დიღმის ტყე-პარკში მშენებლობის შეწყვეტას ითხოვენ, კალაძე უარზეა”, 2019/ https://cutt.ly/OR2LTk3
[55] „დიღმის ტყე-პარკის უახლესი ისტორია“,2021/ https://cutt.ly/FR2LSqG

ფოტო ფეისბუქ გვერდიდან: „ახალგაზრდა მწვანეები“, 2019

პროტესტის დინამიკა

დიღმის ტყე-პარკის დაცვის პროტესტში აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მწვანეები“. კვლევის რესპონდენტი, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციას წარმოადგენს, იხსენებს, რომ პროტესტში „ახალგაზრდა მწვანეები“ ჩაერთნენ არა მხოლოდ როგორც მხარდამჭერები, არამედ როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორები. ამის შემდეგ, პირველ რიგში, პროტესტის მონაწილეების მხრიდან გაიწერა ის, თუ ვინ იყო პროტესტის მთავარი ადრესატი და რა იყო მთავარი მოთხოვნა. რესპონდენტი იხსენებს, რომ კამპანიის პირველივე ეტაპზე პროტესტის წევრებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა დიღმის ტყე-პარკში არსებული რკინის კონსტრუქციის დაშლასთან დაკავშირებით. ნაწილს სურდა, რომ ტერიტორია მთლიანად გათავისუფლებულიყო ნაგებობებისგან, მეორე ნაწილის აზრით კი შესაძლებელი იყო ამ შენობაში სოციალური ცენტრის მშენებლობაზე მსჯელობაც. რესპონდენტის თქმით, პროტესტი იყო რეაქციული და ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდა ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ.

> **„საკმაოდ ჩუმად და დამალულად მიდიოდა ეს პროცესები. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ფლაერების დარიგება, საზოგადოებას ვესაუბრებოდით. მათ გაკვირვებული სახეები ჰქონდათ. მაშინ პანდემია არ იყო და გაგვიმარტივდა ხალხთან საუბარი. ვხვდებოდით ერთმანეთს, განვიხილავდით და საკითხის აქტუალიზებას ვახდენდით.**
>
> ***(რესპონდენტი #3, თბილისი)***

პროტესტის შინაარსისა და მასში ჩართული საზოგადოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად საპროტესტო ჯგუფები არ გამოხატავენ ინტერესს და სურვილს, გაერთიანდნენ სხვა ურ-

ბანულ ჯგუფებთან. დიღმის ტყე-პარკის პროტესტის მონაწილის თქმით, აქციებზე სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფი, მათ შორის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, მოდიოდა. თუმცა, კამპანიის დაგეგმვის ნაწილში მათი ჩართვა არ მომხდარა. რესპონდენტის თქმით, არ ყოფილა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით რომელიმე ჯგუფის ჩართვის საჭიროება.

ფოტო ფეისბუქ გვერდიდან: „დავიცვათ დიღმის ტყე-პარკი“, 2019 წელი

კამპანიის დაგეგმვის პროცესში, საზოგადოების ინფორმირებულობის გარდა, საპროტესტო ჯგუფი ცდილობდა ტყე-პარკში დაწყებული მშენებლობის საწინააღმდეგო არგუმენტაციების ჩამოყალიბებასა და გამართვას, რისთვისაც სამუშაო ჯგუფი დაუკავშირდა სხვადასხვა დარგის ექსპერტს. მათთან კონსულტაციის შემდეგ მერიისადმი წამოყენებულ მოთხოვნებს ახალი ასპექტები დაემატა. მაგალითისთვის, პროტესტის მონაწილეები აპელირებდნენ ტყე-პარკში რესტორნის აშენების შემდეგ გაზრდილ უხვ სატრანსპორტო ნაკადებზე. ისინი ვარაუდობდნენ, რომ პარკში აშენებული რესტორნის მომხმარებლების სიმრავლე პარკის ტერიტორიაზე კერძო ავტომობილების ნაკადს გაზრდიდა და საფრთხეს შეუქმნიდა როგორც პარკის სივრცულ განაწილებას, ისე დიღმის ტყე-პარკის ჰაბიტატს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საპროტესტო ჯგუფის ნაწილი დიღმის ტყე-პარკით მოსარგებლეებს ესაუბრებოდა და მოსალოდნელი მშენებლობის შესახებ აფრთხილებდა. მათ შეაგროვეს, ასევე, ხელმოწერებიც, რაც რესპონდენტის შეფასებით, არ არის ეფექტური, თუმცა, თემის მობილიზებისთვის კარგი საშუალებაა.

აქტივისტთა მეორე ნაწილი სოციალურ ქსელში კამპანიას აქტიურად ატარებდა. დიღმის ტყე-პარკის დასაცავად და საზოგადოების ინფორმირებულობისთვის მათ შექმნეს ფეისბუქ გვერდი და ჯგუფი. პირველ ეტაპზე ჩაწერეს რამდენიმე ვიდეო, რასაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ფეისბუქ გვერდზე ათავსებდნენ. ფეისბუქ ჯგუფში კი 5 ათასამდე ადამიანი გააწევრიანეს და ისინი პარკის დასაცავად დისკუსიებში ჩართეს. აღნიშნული კამპანიებისთვის საპროტესტო ჯგუფს ფინანსური დახმარება ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუწია. რაც შეეხება სამართლებრივ დახმარებას, მას შემდეგ, რაც პროტესტის ერთ-ერთმა მონაწილემ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) მიმართა, ორგანიზაციამ საინიციატივო ჯგუფი ისეთ ადვოკატთან დააკავშირა, რომელიც საქალაქო დავებში მანამდეც გამოცდილი იყო. პროტესტში ჩართული იურისტი იხსენებს, რომ წინასწარ გაიწერა სტრატეგია, რის მიხედვითაც, მათ მოამზადეს საჩივარი და დაგეგმეს შემდგომი აქტივობები. ნიშანდობლივია, რომ როგორც საპროტესტო

ჯგუფის წევრები, ისე იურისტებიც, პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გამოხატავენ უნდობლობას სასამართლოს მიმართ და მიუთითებენ ურბანულ წინააღმდეგობებში მოქალაქეების ჩართვის აუცილებლობაზე, მათ აქტივობასა და მხარდაჭერის მნიშვნელობაზე.

„ასეთ დავებს ყოველთვის აქვს ორი მიმართულება: პირველი - წმინდა სამართლებრივი მიმართულება; მეორე - ადვოკატირება და ხალხის მხარდაჭერის მოპოვება. იქიდან გამომდინარე, რომ ვიცით, რეალურად დღეს რა მდგომარეობაა სასამართლოში, მხოლოდ სამართლებრივი პროცედურებით ბრძოლა რთულია. სულ რომ ასი პროცენტით მართალი იყო, საზოგადოების მხარდაჭერა მაინც უნდა გქონდეს.“

(რესპონდენტი #6, საია)

ახალგაზრდა მწვანეების წევრი ფიქრობს, რომ დიღმის ტყე-პარკის პროტესტის წარმატება მისით ფართო საზოგადოების დაინტერესებამ განაპირობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიღმის ტყე-პარკის შემთხვევა იძლეოდა პრობლემის შინაარსის ფართო რაკურსით გააზრების შესაძლებლობას. ეს გულისხმობს შემდეგს: დიღმის ტყე-პარკში დაწყებული სამუშაოები, პარკის სარეკრეაციო და ეკოლოგიური ფუნქციებიდან გამომდინარე, ლოკალურზე მეტად, საქალაქო პრობლემას წარმოადგენდა. ამან პროტესტით დაინტერესების არეალი გაზარდა და ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები ადამიანების ბრაზი გამოიწვია. რესპონდენტის შეფასებით, მათ მიერ ორგანიზებული აქცია ფართომასშტაბიანი იყო, რადგან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ჯგუფს შეუერთდნენ ქალაქის სხვა უბნების მაცხოვრებლებიც.

ურბანულ პროტესტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საპროტესტო აქციების პარალელურად, ხშირია პროტესტის მარგინალიზების, ე.წ „გაშავებისა“ თუ კონტრ-კამპანიების მცდელობები. დიღმის ტყე-პარკის მაგალითზე, როგორც პროტესტის მონაწილე რესპონდენტი იხსენებს, მშენებელმა კომპანიამ კონტრ-კამპანია დაიწყო, რაც, მისივე შეფასებით, წარუმატებელი იყო.

„ჩვენ, სიმბოლურად, ბურღზე „დავრგეთ» ხე, რომელსაც დავიცავთ ბოლომდე! დიღმის ტყეში არის ხის და არა ბურღის ადგილი!“

ფოტო ფეისბუქ გვერდიდან „დავიცვათ დიღმის ტყე-პარკი“, 2019 წელი

მიუხედავად იმისა, რომ აქციებსა და ონლაინ კამპანიებს გამგეობა გამოეხმაურა, საპროტესტო ჯგუფის წევრების ინიციატივას, მოეწყოთ საჯარო განხილვები, არ დათანხმებულან. პროტესტის მონაწილეების მხრიდან უარი მოჰყვა გამგეობის შემოთავაზებას დახურულ კარს მიღმა შეხვედრებთან დაკავშირებითაც. პროტესტის წევრების თქმით, გამგეობებთან, პროცესის პარალელურად, მოლაპარაკებებზე წასვლა კომპრომისს ნიშნავს. ურბანულ წინააღმდეგობები კი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, კომპრომისზე წასვლის ფუფუნების შესაძლებლობა არ იძლევა.

კიდევ ერთი სტრატეგიული კომპონენტი უკავშირდება მედია ხილვადობას. დიღმის ტყე პარკის შემთხვევაში, პროტესტით მედიის დაინტერესება მაღალი იყო. როგორც რესპონდენტი ამბობს, საპროტესტო აქციების დროს მოსალოდნელია ხოლმე სახელისუფლებო მედიის მხრიდან პროტესტის მარგინალიზების მცდელობა. ასეთი პრეცედენტი დიღმის ტყე-პარკის პროტესტსაც მოჰყვა, როდესაც საპროტესტო ჯგუფმა ე.წ „გაშავების“ შემთხვევებს კონტრ-კამპანიებით უპასუხეს.

დიღმის ტყე-პარკის პროტესტის გადამწყვეტი ფაზა მაშინ იწყება, როდესაც სამშენებლო კომპანიას პარკში ტექნიკა შეჰყავს. ამ მოვლენას აქტივისტების მხრიდან აქცია მოჰყვა. საპროტესტო ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში მშენებლობის ადგილზე ღამეს ათევდა, კვირის ბოლოს კი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საიას სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა და მშენებლობა შეაჩერა.

პროტესტში ჩართული ორივე რესპონდენტის თქმით, იმ ურბანული პროტესტებისგან განსხვავებით, რომლებიც წარუმატებლად დამთავრდა, დიღმის ტყე-პარკის გადარჩენა სწორად დაგეგმილმა კამპანიამ, პოლიტიკურ პარტიებთან ნულოვანმა კომუნიკაციამ და რაც მთავარია, საზოგადოების მხარდაჭერამ განაპირობა.

პროცესში ჩართული ადვოკატის თქმით, დიღმის ტყე-პარკის პროტესტი არის ის პრეცედენტი, რომელმაც ბრძოლა როგორც სამართლებრივი, ისე აქტივისტების კუთხით მოიგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილები არიან საპროტესტო ჯგუფის წევრები. მათი თქმით, მოსახლეობის გამოხმაურება როგორც სოციალურ ქსელში, ისე ადგილზე, დადებითი იყო და მას ქალაქში მიმდინარე პროცესებში ჩართვის სურვილი გაუჩინა**.**

აქტიურმა კამპანიამ სოციალურ ქსელში როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე თბილისის მასშტაბით მოქალაქეების მობილიზების შესაძლებლობა გააჩინა. სხვადასხვა ვიდეო/ფოტო მიმართვებმა, პარკში ჩატარებულმა პიკნიკებმა და საკემპინგო სივრცის შექმნამ პროტესტისადმი დიდი ინტერესი გააჩინა და ახალგაზრდების მიზიდულობის კერა დიღმის ტყე-პარკში გადაიტანა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროტესტის მონაწილეები მერიასთან და სასამართლოსთან კომუნიკაციას საწყის ეტაპზევე ეჭვის თვალით უყურებენ. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობენ ხელმოწერების შეგროვებას, პეტიციების შექმნასა და სარჩელის მომზადებას. მათი თქმით, წარმატებული პროტესტის მთავარი განმსაზღვრელი ძალა საზოგადოებაა და საპროტესტო ჯგუფმაც მთელი რესურსი მოსახლეობის მობილიზების მცდელობისთვის უნდა გაიღოს.

მიუხედავად წარმატებისა, „ახალგაზრდა მწვანეების“ წარმომადგენელი თვლის, რომ დიღმის ტყე-პარკის საპროტესტო ჯგუფი ურბანულ სოციალურ მოძრაობად არ გარდაქმნილა, თუმცა, ჯგუფი სხვა ურბანულ პროტესტებში დღემდე ქაოსურად, თუმცა, მაინც აქტიურად არის ჩართული.

ბათუმი - „გადავარჩინოთ რვაფეხა“

მხატვარ ზურაბ კაპანაძისა და არქიტექტორ გიორგი ჩახავას ესკიზის მიხედვით გასული საუკუნის 70-იან წლებში ბათუმში მოზაიკით მოპირკეთებული რვაფეხა აშენდა. შენობაში კაფე „ფანტაზია“ გაიხსნა, რომელიც ქალაქის მაცხოვრებლებსა და დამთვალიერებლებს 30 წელზე მეტხანს ემსახურებოდა. კაფემ ფუნქციონირება 2000 წელს შეწყვიტა. 2014 წელს ცნობილი გახდა, რომ „რვაფეხას“ დანგრევა ემუქრებოდა და მის ნაცვლად სასტუმრო „ჰილტონი“ ორი საცურაო აუზის აშენებას გეგმავდა. ამ მოვლენების საპასუხოდ, საზოგადოება „ბათომმა“ საპროტესტო აქციები დაიწყო. მთავარი მოთხოვნა „რვაფეხასთვის“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება იყო. პროცესი ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა. თავდაპირველად აჭარის მთავრობა მი-

იჩნევდა, რომ „რვაფეხა“ ძეგლი არ იყო და იგი აღდგენას არ ექვემდებარებოდა.[56] თუმცა, 2016 წელს ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ შენობას ფონდი „ქართუ“ აღადგენდა. რეაბილიტაციის სამუშაოები 2019 წელს დასრულდა, 2020 წელს კი ბათუმის „რვაფეხას“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.[57]

კაფე „ფანტაზია“, 1970-იანი წლები

ფოტო: batumelebi.netgazeti.ge

პროტესტის დინამიკა

ურბანულ წინააღმდეგობაში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბათუმელი აქტივისტები ფიქრობენ, რომ მოქალაქეების უფლებები, პირველ რიგში, მაშინ ირღვევა, როდესაც მმართველი ორგანო ქალაქის ტერიტორიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იქ მცხოვრები მოქალაქეების გარეშე იღებს. სივრცეზე უფლების აღქმა, ამ თვალსაზრისით, არც საზოგადოებაშია და არც მმართველ ორგანოებშია განმტკიცებული ღირებულებებისა და მთავარი პრინციპების დონეზე. სავალალოა ისიც, რომ ამ მიმართულებით კანონის დარღვევის არაერთი ფაქტი ფიქსირდება, როცა მუნიციპალიტეტები არ უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და მათში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერას.

კვლევის რესპონდენტი და „რვაფეხას“ ირგვლივ დაწყებული საპროტესტო აქციის ერთ-ერთი წევრი იხსენებს, რომ „რვაფეხას“ დანგრევის შესახებ ინფორმაცია ქალაქის მერისგან მიიღო, რის შემდეგაც მან საზოგადოება „ბათომის“ წევრ რამდენიმე ადამიანთან ერთად მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით დაიწყო დამატებითი ინფორმაციის მოძიება. პროცესში გამოიკვეთა სასტუმრო „ჰილტონის“ ინტერესები და საფრთხეც „ბათომის“ წევრებისთვის რეა-

[56] „არჩილ ხაბაძე: ვფიქრობ, რვაფეხა არ არის ძეგლი“,2014
https://batumelebi.netgazeti.ge/news/9212
[57] ვინ გადაარჩინა ბათუმის „რვაფეხა“, 2019
https://batumelebi.netgazeti.ge/news/224246/

ლური გახდა. შედეგად, რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტა, შეექმნა ფეისბუქ ჯგუფი და მოეწყო საპროტესტო აქცია.

„ჰილტონი“ ფიქრობდა, რომ თუ „რვაფეხას“ არ იყიდდა, ვიღაც სხვა დაეპატრონებოდა მას, რაც დიდად არ აწყობდა, რადგან სასტუმროსა და ზღვას შორის დამატებითი ნაგებობა შეიძლებოდა გაჩენილიყო. „ჰილტონი“ ჩვენთან კომუნიკაციის დროს გვეუბნებოდა, რომ ჰქონდა დასკვნა იმის შესახებ, რომ „რვაფეხას“ გადარჩენა შეუძლებელი იყო. ეს დასკვნა, ცხადია, არ გვაჩვენეს.

(რესპონდენტი #2, ბათუმი)

სასტუმრო „ჰილტონის“ მიერ წარმოდგენილ დასკვნაში საუბარი იყო, რომ „რვაფეხა“ ავარიული შენობაა და საჭიროებდა დემონტაჟს. ამ მოვლენების პარალელურად, ჯგუფი „ჰილტონის“ მენეჯერს შეხვდა. კერძო სექტორთან შეხვედრას საპროტესტო ჯგუფის წევრები იხსენებენ, როგორც „მტრულ შეხვედრას“, როცა სამშენებლო სექტორის წარმომადგენელმა პირდაპირ მიუთითა აქტივისტებს, რომ მათი წინააღმდეგობა უნდა შემცირებულიყო. რესპოდენტის თქმით, ბათუმში სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქალაქის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას სწორედ მათ მიერ ბათუმში ჩადებული ინვესტიციები განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ წლებია ქალაქის ეკონომიკის დივერსიფიცირებაზე მიმდინარეობს მსჯელობა, სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტებმა ღიად და დეტალურად ისაუბრეს ბათუმის ეკონომიკის ტურიზმის ინდუსტრიაზე დამოკიდებულებასა და აღნიშნულის შემსუბუქების მიზნით, არატურისტული ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციის აუცილებელ საჭიროებაზე, რაც, ასევე, უკავშირდება სამშენებლო სექტორის მოლოდინებსა და აღქმებს საქალაქო სივრცეებისადმი. კვლევის მონაწილეების განწყობით, სამშენებლო სექტორის „მტაცებლური“ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ბათუმში დაწყებული საპროტესტო კერების შესწავლის მაგალითზე, რესპონდენტების მხრიდან არაერთხელ ითქვა, რომ დღეს „ბათუმი ეკუთვნის დეველოპერულ კომპანიებს.“

რეაბილიტირებული „რვაფეხა“

ფოტო: მანანა ქველიაშვილი

საპროტესტო ჯგუფმა, „ჰილტონის“ დასკვნის გასაბათილებლად, სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მოითხოვა, რომლის მიხედვითაც, მიზანშეწონილი იყო „რვაფეხას“ დემონტაჟი. ამას დამატებითი აქციები და სამართლებრივი დავა მოჰყვა.

საპროტესტო ჯგუფს აქტიურ დახმარებას უწევდა „იკომოსი საქართველო“ (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი იემსი) და საია (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია). როგორც რესპონდენტი იხსენებს, „რვაფეხას“ გადარჩენის რეალურ გზად საპროტესტო აქციის გამართვაღა რჩებოდა. აქცია, რესპონდენტის შეფასებით, წარმატებით ჩამთავრდა, რამაც რეალურად მომავალში პროტესტის წარმატებითვე დასრულება განაპირობა.

„რვაფეხასა“ და დიღმის ტყე-პარკის პროტესტების შემთხვევა გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებას, სასამართლოსა თუ მუნიციპალიტეტს დაანახო საკითხის პრობლემურობა ადგილთან მიმართებაში. ორივე სივრცე ქალაქის მოსახლეობისთვის განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მატარებელი იყო. „რვაფეხა“, როგორც ბათუმის კულტურული და ისტორიული მეხსიერების ნაწილი, ხოლო დიღმის ტყე-პარკი, როგორც ქალაქის ეკოლოგიური, უნიკალური ბუნების შენარჩუნების გზა და საშუალება. საკითხის აქტუალიზებამ, დარგის ექსპერტების ჩართვამ და მათი დასკვნების, კვლევის შედეგების გავრცელებამ პროტესტის შინაარსზე ფართო მსჯელობის შესაძლებლობა გააჩინა. დისკუსიები როგორც საზოგადოებრივ სფეროში, ისე მედიის ეპიცენტრში მოექცა. პარალელური ბრძოლა მიმდინარეობდა სასამართლოში და როგორც კვლევის თითქმის ყველა მონაწილე ამბობს, ურბანული სივრცეებისთვის ბრძოლა ქალაქში რამდენიმე ფრონტზე უნდა წარმართო. თუმცა, ხშირად, საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე, საპროტესტო ჯგუფს არ რჩება ამ ტიპის სტრატეგიისა და კამპანიის შექმნის დროითი რესურსი. როგორც დიღმის ტყე-პარკში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, პროტესტი ხდება სპონტანური და რეაქციული. ასეთ კრიტიკულ დროსაც, პროტესტის წევრები პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალური კამპანიების წამოწყებას, მაგალითად, პროტესტის ე.წ „ცოცხალ რეჟიმში“ წარმართვას და ფართო მასების ყურადღების ეპიცენტრში მოხვედრას.

უკვე დასრულებული თუ მიმდინარე საქალაქო კონფლიქტების უმრავლესობა როგორც თბილისში, ისე ბათუმში, დღეს არსებულ სამშენებლო პროცესებს მიემართება. საგულისხმოა, რომ ქვეყანაში არსებულმა აგრესიულმა საპრივატიზაციო პოლიტიკამ დეველოპერული კომპანიები საჯარო ინტერესზე უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა. სწორედ ამიტომ, კვლევაში წარმოდგენილი ურბანული პროტესტებისთვის (და იმ ურბანული წინააღმდეგობებისთვისაც, რაც კვლევაში ვერ მოხვდა) კულტურული მემკვიდრეობისა თუ სარეკრეაციო სივრცეების დაცვა მთავარი საზრუნავი გახდა.

მიმდინარე პროტესტები

თბილისი: „იპოდრომი - უბეტონო მხარე“

2021 წლის 10 აპრილს საზოგადოებრივმა ჯგუფმა „იპოდრომი - უბეტონო მხარე“ პირველი აქცია გამართა. აქციის მოთხოვნა თბილისში, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, უკანონოდ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტა, თბილისის ცენტრალური პარკის მშენებლობისას იპოდრომის ისტორიული მნიშვნელობის შენარჩუნება და მშენებლობის ეტაპებზე საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფაა.[58]

2020 წლის 5 ოქტომბერს, ფონდმა „ქართუმ“ ტერიტორია, პარკის მოწყობის მიზნით, თბილისის მერიას გადასცა საჩუქრად. მერიის გადაწყვეტილებით, ახალი ცენტრალური პარკი 36 ჰექტარ ფართობზე უნდა განთავსდეს. პროექტის ავტორი ჰოლანდიური კომპანიაა, რომლისთვისაც მერიას ღია კონკურსი არ გამოუცხადებია. საზოგადოებისთვის უცნობია, რა ნიშნით შეარჩია მერიამ კონკრეტული კომპანია კონტრაქტორად. ამასთან, მერია და არქიტექტურის სამსახური პარკის სამშენებლო დოკუმენტაციას ამ დრომდე არ ასაჯაროებს. პროექტის მიხედვით, იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილია სამი საპარკინგე ზონის და მოპირკეთებული საფეხმავლო ბილიკების

[58] «მოძრაობამ „იპოდრომი - უბეტონო მხარე“ აქცია გამართა», 2021
https://1tv.ge/news/modzraobam-ipodromi-ubetono-mkhare-aqcia-gamarta/

მოწყობა, ასევე, კაფე-რესტორნის, საგანმანათლებლო ცენტრის, სტადიონის, დეკორატიული ბაღებისა და თოკების პარკის გაშენება.[59]

პროტესტის დინამიკა

საპროტესტო ჯგუფი „იპოდრომი - უბეტონო მხარე“ იპოდრომის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისგან შედგება. როგორც კვლევის რესპონდენტი იხსენებს, პროტესტის ორგანიზატორი „მოულოდნელად“ გახდა. ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის გაშენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ მან გადაწყვიტა მეგობრების, სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენელი ექსპერტების მოძიება და იპოდრომზე დაწყებული მშენებლობების წინააღმდეგ მათი გაერთიანება.

რესპონდენტების მონათხრობში ნათლად ჩანს, რომ დედაქალაქში მცხოვრებ მოქალაქეებს ქალაქის კონკრეტულ უბნებთან, არ აქვს მნიშვნელობა, ისინი ამ უბნებში ცხოვრობენ თუ არა, გარკვეული მოლოდინები და მგრძნობელობა აქვთ. მათი მხრიდან ამ ტერიტორიებისადმი არსებული ემოციები და აღქმები უფრო მეტად იდენტიფიცირებულია შიშის ემოციებთან, ვინაიდან:

> **„წლების განმავლობაში სულ შიშით ვუყურებდი იპოდრომს. მქონდა მოლოდინი, რომ აი, ახლა უზამენ რამეს, აი, ახლა. ბოლო რამდენიმე წელია ყოველდღიურად ვვარჯიშობ იპოდრომზე. როცა პროექტი დააანონსეს, პანდემია უკვე მძვინვარებდა, თან არჩევნები იყო და იპოდრომისთვის არავის ეცალა, მერიდებოდა ხალხთან წუწუნი. მაგრამ დავიწყე იპოდრომის მომხმარებლების გამოკითხვა და აღმოვაჩინე, რომ ყველა იზიარებდა ჩემს მოსაზრებას.“**
>
> ***(რესპონდენტი #4, თბილისი)***

ეს მოსაზრებები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ურბანული პროტესტი შესაძლოა ჩაისახოს ჯერ კიდევ პრობლემური საკითხის დღის წესრიგში დადგომამდე. ამ ყოველივეს მოქალაქეების მოლოდინები განაპირობებს. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ კვლევის რესპონდენტების ნაწილისთვის ქალაქური სივრცეებისადმი მგრძნობელობა და მოლოდინები, ამ სივრცეებთან მათი კავშირით და მათზე უფლებით არის განმარტებული. შესაბამისად, კონკრეტულ საქალაქო სივრცეებთან დაკავშირებული განწყობები თავისთავად შეიძლება გახდეს ურბანული პროტესტის წინაპირობა.

თუ რიგ შემთხვევებში მოსახლეობა პოსტ-ფაქტუმ იგებს მოულოდნელი მშენებლობების შესახებ ინფორმაციას და შემდეგ იწყება პროტესტის ტალღა ან იქმნება სტრატეგიები საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ინფორმირებისთვის და ჩასართავად, იპოდრომის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით მოქალაქეებს დიდი ხნით ადრე ჰქონდათ ბრძოლის წინასწარ განწყობა. მრავალწლიანი უნდობლობისა და შიშის განცდა უკვე მარტივად ტრანსფორმირდება ურბანულ წინააღმდეგობად, რაც პროტესტში დროის მოგების და მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართვის შესაძლებლობას აჩენს.

კვლევის რესპონდენტის თქმით, დიღმის ტყე-პარკისა და ოქროს უბანში განვითარებული მოვლენების მსგავსად, იპოდრომთან დაკავშირებით საინიციატივო ჯგუფმა მოსახლეობასთან კომუნიკაცია დაიწყო, რასაც საპროტესტო ჯგუფის წევრთა რაოდენობის გაიზარდა მოჰყვა. საპროტესტო ჯგუფის წევრებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ სხვადასხვა ურბანული პროტესტის აქტივისტთან, მათ შორის „დიღმის ჭალების“ საპროტესტო ჯგუფთან, „ანას ბაღის“ აქტივისტებთან. რესპონდენტის შეფასებით, ამ ჯგუფებმა მათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს და კამპანიის დაგეგმვის ეტაპებზე საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. პირველი აქცია, რომელიც იპოდრომზე ჩატარდა, ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზების თვალსაზრისით, საპროტესტო ჯგუფმა თავად უზრუნველყო.როგორც ჯგუფის წევრი და კვლევის რესპონდენტი აღნიშნავს,

[59] «სოციალური სამართლიანობის ცენტრი მერიას «იპოდრომის პარკზე» ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებს“, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31442103.html

პროტესტი სახელმწიფოს მიემართება და ჯგუფისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას საზოგადოების ჩართულობის გარეშე პროექტის დაგეგმვა წარმოადგენს. მისი თქმით, ურბანულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის საკითხის ბუნდოვანია, როგორც მმართველ ორგანოში, ისე მოქალაქეებშიც. მათ არ აქვთ ჩართულობის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ცოდნა, შესაბამისად, არც მოლოდინები.

ამდენად, ურბანულ სივრცეებზე უფლების აღქმა და ამ განცდების გაძლიერება მოსახლეობაში უკავშირდება ინფორმირებულობას და პრაქტიკას მონაწილეობითი მექანიზმების შესახებ. ამ ყოველივეს დასწავლა კი მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის, ისე სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პროცედურული გამართულობა და რაც მთავარია, გამოხატონ პოლიტიკური ნება.

„ჩვენი სახსრებით დავბეჭდეთ საინფორმაციო ბუკლეტები, მოვამზადეთ გასართობი აქტივობები, ხალხს გავაცანით ინფორმაცია. ადამიანებმა, სამწუხაროდ, არ იციან, რისი უფლება აქვთ. პირველ დღეს შევაგროვეთ ბარათები, სადაც ადამიანები წერდნენ საკუთარ სურვილებს იპოდრომის ათვისებასთან დაკავშირებით. იქ ეწერა, რომ ხალხს სჭირდება მარტივი ბუნებრივი ლანდშაფტი, მინდორი, მეტი ხე, წყალი, ელემენტარული ინფრასტრუქტურა და არავის უნდა ზედმეტი დეკორაცია: ბეტონის ბილიკები და პარკინგი, მითუმეტეს.“

(რესპონდენტი #4, თბილისი)

საპროტესტო ჯგუფს სამართლებრივ დახმარებას სოციალური სამართლიანობის ცენტრი უწევს, რომელმაც ოფიციალური დოკუმენტაცია გამოითხოვა მერიისგან. მერიამ პროცედურები დაარღვია და 10 დღის ვადაში ორგანიზაციას საჯარო ინფორმაცია არ მიაწოდა. გამოხმაურებები მმართველი ორგანოდან მას შემდეგ დაიწყო, რაც საკითხით მედია დაინტერესდა და ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მიმდინარე მოვლენები. ქალაქის მერის განცხადებით, „ქართუ ფონდის“ მიერ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ესკიზური პროექტის საფუძველზე და ამ დრომდე არ არსებობს იპოდრომის პარკის საპროექტო დოკუმენტაცია. უკანონო სამუშაოების აღსაკვეთად ზომების მიღების მოთხოვნით სოციალური სამართლიანობის ცენტრი ბრძოლას სასამართლოს გზით აპირებს.[60]

[60] **იპოდრომზე უკანონო სამუშაოების აღსაკვეთად სოციალური სამართლიანობის ცენტრი სასამართლოს მიმართავს. 20 იანვარი 2022**
https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-qofili-ipodromis-teritoriaze-parkis-motsqobis-samushaoebi-kanondarghvevit-mimdinareobs?fbclid=IwAR3FCkILsFqBmCxFHFrtz4M24HCum_CpW-IFJplyhkyaPnPDOOfNCF6WnOc

საჯარო დისკუსია იპოდრომზე, 2021

ფოტო ფეისბუქ გვერდიდან „იპოდრომი - უბეტონო მხარე“

ოპოდრომის პროტესტში მონაწილე რესპონდენტის თქმით, პროტესტი ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაში არ იმყოფება, მიმდინარეობს მხოლოდ საჯარო შეხვედრები და დისკუსიები. საპროტესტო ჯგუფს მოვალეობები გადანაწილებული აქვს. მაგალითისთვის, ზოგიერთი მათგანი საჯარო დისკუსიებისთვის საინფორმაციო ბუკლეტებს არიგებს, მეორე ნაწილი ამ ტიპის შეხვედრებისთვის სხვადასხვა აქტივობას გეგმავს, რაც მოიაზრებს პიკნიკებს, სპორტულ ღონისძიებებს, გასართობ თამაშებს და ა.შ. საინიციატივო ჯგუფს ფინანსურ დახმარებას ამ ეტაპზე საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი უწევს. რესპონდენტის თქმით, ფინანსური მობილიზების საჭიროება მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჯგუფის მხრიდან კამპანიისთვის გაფართოება და ვიდეოების გადაღება დაიგეგმა.

ბათუმი: „რივიერა ცათამბჯენების გარეშე“

ბათუმის კონცხზე, ძველ ისტორიულ უბანში ხუთი ცათამბჯენის, ხელოვნური ლაგუნას, კაზინოსა და სხვა დაწესებულებების აშენება იგეგმება. ხუთი ცათამბჯენიდან ორ მათგანში სასტუმრო, სამში კი საცხოვრებელი ბინები უნდა განთავსდეს. აღნიშნულ პროექტს „სილქ როუდ ჯგუფი“ ახორციელებს, რომელსაც მშენებლობის ნებართვა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ 2019 წელს მისცა.[61] ამ ამბის გავრცელებიდან ძალიან მალე საპროტესტო აქციები დაიწყო.[62]

საზოგადოება პროექტ „ბათუმი რივიერას“ მშენებლობის ნებართვის გაუქმებას და 6 ჰექტარი ფართობის ტერიტორიის რეკრეაციულ სივრცედ შენარჩუნებას ითხოვს. ამასთანავე, პროტესტის მონაწილეები დაუშვებლად მიიჩნევენ ისტორიული ქალაქის დაცვის ზონაში მრავალსართულიანი შენობების აშენებას.

[61] «ფულის ძალა სასამართლოში – უთანასწორო ბრძოლა საჯარო სივრცისთვის», 2021
https://batumelebi.netgazeti.ge/news/343047/

[62] “რივიერა ცათამბჯენების გარეშე” – დღეს ბათუმში საპროტესტო აქცია გაიმართება», 2019
https://batumelebi.netgazeti.ge/news/218506/

საზოგადოება „ბათომმა“, საინიციატივო ჯგუფმა „დაიცავი ძველი ბათუმი“, „ახალგაზრდა მწვანეებმა“ და სხვა აქტივისტურმა თუ სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლებმა შპს „რივიერა ბათუმის“ პროექტის მშენებლობის წინააღმდეგ სასამართლო დავა წამოიწყეს. პროტესტს სამართლებრივად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უჭერს მხარს.

საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი 2021 წლის 22 იანვარს შეიტანა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის გაუქმება. ორგანიზაცია, ასევე, მოითხოვდა რომ მშენებლობის პროცესი შეჩერებულიყო იქამდე, სანამ ნებართვის კანონიერება დადგინდებოდა. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, თუმცა, არ დააკმაყოფილა მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერება დავის საბოლოო გადაწყვეტამდე.[63] აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აქტის მოქმედების შეჩერება ნაწილობრივ განხორციელდეს არა სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე, არამედ - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.[64]თუმცა, მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად არ შეცვალა მსჯელობა და უცვლელად დატოვა გაუქმებული განჩინების შინაარსი. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიღებული განჩინება საიამ კვლავ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა, რომ კერძო საჩივრის ფარგლებში საპელაციო სასამართლოს თავად მიეღო გადაწყვეტილება შეჩერების თაობაზე. მიუხედავად არგუმენტაციისა, სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება.

გამოთხოვილი საჯარო დოკუმენტაციისა და საიას მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე გამოჩნდა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ მშენებლობის ნებართვა გასცა ისე, რომ არ შეაფასა პროექტ „რივიერას“ ზემოქმედება გარემოზე, ზღვის სანაპიროზე, ბულვარზე, ქალაქის ისტორიულ ნაწილსა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე. ადმინისტრაციულ სარჩელში ვკითხულობთ: „დარღვეულია ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ძირითადი ნორმები და პრინციპები, რის შედეგადაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ქალაქსა და მის მაცხოვრებლებს.“

მეორე მხრივ, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ოფიციალური წერილის ანალიზით ცნობილი გახდა, რომ არც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და არც აღნიშნული სააგენტოს მხრიდან არ შესწავლილა სხვა გარემო პირობები გადაწყვეტილების მიღებამდე. „იგნორირებულ იქნა პროექტის ურბანული თავსებადობა ქალაქთან, ბულვართან და სანაპირო ზოლთან, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ფიზიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან, არ გაანალიზებულა საჯარო და კერძო ინტერესები და საბოლოოდ, მიღებულ იქნა როგორც ფორმალური, ასევე, მატერიალური კუთხით უკანონო აქტი.“ - წერია სარჩელში.

ურბანულ პროტესტებში საინტერესოა სასამართლო დავების სპეციფიკურობაც. მაგალითისთვის, სამშენებლო დავები, სამართლებრივი ნაწილის მოწესრიგების გარდა, საჭიროებს ურბანისტების, გეოლოგების, გარემოსდამცველების, ჰიდროლოგებისა თუ სხვა დარგის სპეციალისტების შეხედულებების გაცნობასა და დასკვნების მობილიზებას.

საზოგადოება „ბათომის“ წევრი, ასევე, საუბრობს გაეროს მიერ დაფინანსებულ კვლევაზე, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნები პროექტ „რივიერას“ წინააღმდეგ მეტყველებს.

[63] სასამართლომ „ბათუმი რივიერას“ მშენებლობის ნებართვის მოქმედება არ შეაჩერა, 2021 https://gyla.ge/ge/post/sasamartlom-batumi-rivieras-msheneblobis-nebartvis-moqmedeba-ar-sheachera

[64] თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბათუმი რივიერას საქმეზე კერძო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 2021 https://gyla.ge/ge/post/tbilisis-saapelacio-sasamartlom-batumi-rivieras-saqmeze-kerdzo-sachivari-natsilobriv-daakmayofila

შპს „რივიერა ბათუმი“ - ფოტო პროექტის რენდერიდან/ batumelebi.netgazeti.ge/

„რამე თუ კი არსებობს ბუნებაში, ყველაფერი ამ პროექტის წინააღმდეგია და რაც მთავარია, ქალაქია წინააღმდეგი, რომელმაც არაერთი აქცია მოაწყო. ამ ქალაქში და ქვეყანაში, კონსტიტუციის მიხედვით, ყველაფერი ისე უნდა ხდებოდეს, როგორც ქალაქის მოსახლეობას უნდა.“

(რესპონდენტი #2, ბათუმი)

მიუხედავად იმისა, რომ „რივიერა ბათუმის“ წინააღმდეგ პროტესტის ტალღა არ ჩამქრალა, საპროტესტო ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ მოსახლეობა კიდევ უფრო ფხიზლად უნდა იყოს, ვინაიდან, ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფონი, ხშირ შემთხვევაში, სამშენებლო სექტორის წისქვილზე ასხამს წყალს და მალულად ეძებს გზებს პროექტის განსახორციელებლად. აღნიშნულ პროტესტში აქტიურად არიან ასევე ჩართული თბილისელი აქტივისტებიც, რომლებიც ადგილობრივ მწვანე ორგანიზაციებსა თუ გამოცდილ აქტივისტებთან ერთად სამომავლო კამპანიებზე მსჯელობენ.

მიმდინარე პროტესტების გაცნობამ საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით პროტესტების დინამიკას დაგეგმილ აქტივობებსა და განხორციელებულ ღონისძიებებში. როგორც თბილისში, ისე ბათუმში, არსებული პროტესტები საწყის ეტაპზეა, მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანიები, საჯარო შეხვედრები და ცალკეული დავები სასამართლოში. თავად პროტესტის მონაწილეებსაც უჭირთ სამომავლო პროგნოზების გაკეთება. ისინი ღიად აცხადებენ, რომ მობილიზაციის პრობლემები დღის წესრიგში ნამდვილად დგას. ამ ყოველივეს ართულებს პანდემია, ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები, რის გამოც საზოგადოების დიდი ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისგან გარიყულია და საქალაქო პრობლემებში ჩართვის როგორც მგრძნობელობა, ისე დრო და გამოცდილება არ აქვს.

დისკუსია კვლევის შედეგების შესახებ

წინამდებარე კვლევის რესპონდენტები ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის ურბანულ პროტესტებში ჩართული აქტივისტები და იურისტები იყვნენ. ინფორმაციამ პროტესტში მათი როლის, გამოცდილების, მუნიციპალიტეტის, საზოგადოებისადმი თუ ზოგადად, პროტესტისადმი კრიტიკის შესახებ, მოგვცა საშუალება, გვემსჯელა არსებული ურბანული პროტესტების მიღწევებსა და გამოწვევებზე. შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა საზოგადოებრივი ჯგუფების მოტივები ქალაქურ სივრცეებთან მიმართებაში. ასევე, ურბანული პროტესტების მიღწევებისა და ნეგატიური გამოცდილებების მიმოხილვით, გვემსჯელა მათი მობილიზების ხელშემწყობ და ხელისშემშლელ გარემოებებზე.

მიმდინარე ურბანული პროტესტების მიმოხილვამ ქალაქებში დღეს არსებულ აქტუალურ პრობლემებს და მათი მხრიდან წარსული გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობას გაუსვა ხაზი, რაც საინტერესო აღმოჩნდა იმ პოტენციალზე მსჯელობის თვალსაზრისითაც, რომელმაც თითოეული ასეთი პროტესტი მომავალში ურბანულ სოციალურ მოძრაობად უნდა გარდაქმნას.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქ თბილისსა და ქალაქ ბათუმში საზოგადოების კოლექტიური მობილიზაცია იწყება საჯარო და მწვანე სივრცეების, ისტორიული და კულტურული შენობა-ნაგებობების რესტავრაციისა და დაცვის, მშენებლობის სექტორის რეგულაციის, მოქალაქეების ქალაქური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მოთხოვნით. აქტივისტების მოთხოვნები, პირველ რიგში, მიემართება სახელმწიფოს - ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელთა გადაწყვეტილებებსაც, კვლევაში ჩართული რესპონდენტების თქმით, აქტიურად ეწირება საზოგადოებრივი ინტერესი.

სხვადასხვა ქალაქში დროის განსხვავებულ თუ პარალელურ მონაკვეთებში დაწყებულმა პროტესტებმა შესაძლებელი გახადა საზოგადოებრივი სივრცეების გასხვისების, გარემოსდაცვითი სამართლიანობის, კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის საკითხების პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ მედიის დღის წესრიგში შეტანა. ამასთანავე, ქალაქის სხვა ტერიტორიებსა თუ განსხვავებული პრობლემატიკის პროტესტებისთვის ისეთი რელევანტური, უნივერსალური არგუმენტების შემუშავება, რომელთა უმრავლესობა სწორედ საჯარო ინტერესების დაცვასა და მშენებლობების ნებართვის პროცესში სხვადასხვა ტიპის საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებას ეხება.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების ინტერვიუებისა და ურბანული პროტესტების მიმოხილვამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტი ქალაქის სივრცეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ამ სივრცით მოსარგებლე მოქალაქეების გარეშე იღებს. ამის ნათელი მაგალითია ზემოთ აღნიშნული ურბანული პროტესტები, რომლებიც რეაქციულად დაიწყო ისე, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფოს/მერიის მიერ დაგეგმილი კონკრეტული სამშენებლო პროექტის თუ გადაწყვეტილების შესახებ მანამდე ინფორმაცია არ ჰქონდა.

სამშენებლო ტექნიკის შეყვანის შემდეგ, პროექტების მონახაზების თუ გაცემული ნებართვების შესახებ პოსტ-ფაქტუმ მიღებული ინფორმაციით დაწყებულ საპროტესტო აქციებს, პირველ რიგში, რისი გაკეთებაც შეუძლია, ესაა, მოითხოვოს მიღებული გადაწყვეტილების დროებით შეჩერება. ამ მოთხოვნის შემდეგ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საზოგადოებრივი ჯგუფები სამართლებრივ კონსულტაციებსა და დავებს იწყებენ.

ყველაზე დიდი სირთულე სპონტანურად დაწყებულ პროტესტებში საზოგადოების მობილიზება, მათი ჩართვა და ინტერესის შენარჩუნებაა. როგორც კვლევის რესპონდენტების მონათხრობებში ჩანს, იქნება ეს რეაქციულად დაწყებული თუ წინასწარ დაგეგმილი პროტესტი, საწყის ეტაპზე რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი იწყებს კამპანიის დაგეგმვას. მათი მხრიდან, პირველ რიგში, მწყობრად გაიწერება მოთხოვნები და შესაბამისი არგუმენტები, რომლებიც ურბანისტებთან, არქიტექტორებთან, გეოლოგებთან თუ სხვა ექსპერტებთან კონსულტაციის გზით მიიღება. შემდეგ ეტაპზე საპროტესტო ჯგუფი იწყებს საზოგადოების მობილიზაციაზე და პროტესტის ხილვადობაზე ზრუნვას. მათი უმრავლესობა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, ქმნის ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებს. საზოგადოების ინფორმირებულობისთვის და ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელებს, პოსტებს, ინფო და ვიდეო გრაფიკებს. მომხრეების მოზიდვის მიზნით, ონლაინ სივრცესთან ერთად, პირისპირ ესაუბრებიან პრობლემურ სივრცეში მცხოვრებ მოქალაქეებს და აცნობენ საკითხის პრობლემურობას. ქალაქის სხვა

ნაწილში კი ინფორმაციას ავრცელებენ სტენსილების და ფლაერების დარიგების მეშვეობით. საწყის ეტაპზე, ხშირად ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი და ნდობით აღჭურვილი პირების მხარდამჭერი ფოტო თუ ვიდეო მასალის გადაღება, ე.წ „მხარდამჭერი გამოწვევების“ წამოწყება, ფიზიკურ სივრცეში კონცერტების, გამოფენების, პიკნიკებისა თუ სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობის ორგანიზება.

კვლევაში მონაწილე აქტივისტები პოზიტიურ გამოცდილებებზე საუბრისას ხაზს უსვამენ საზოგადოებაში მათი მომხრეების შენარჩუნებას, ამასთანავე, მიღწეული შედეგებით მოტივაციის გაზრდას და სხვა პროტესტებში მეტი თავდაჯერებით ჩაბმას. მეორე მხრივ, კვლევის რესპონდენტები იმასაც ამბობენ, რომ ხშირად სახელმწიფო და კერძო ინვესტორი მათ მოსახლეობასთან აპირისპირებს, რაც, ხელს უშლის პროტესტის განვითარებას. თუმცა, ესეც რომ არ იყოს, დინამიკა ისეთია, რომ საზოგადოების დაინტერესება დროდადრო მაინც კლებულობს, რასაც აქტივისტების აზრით, ზოგადად, პროტესტებისადმი საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განაპირობებს. თავის მხრივ, ისინი სხვა გამოწვევებსაც ასახელებენ, რაც აქტივიზმში ჩაბმულ პირთა დროითი და ფინანსური რესურსის სიმწირეს უკავშირდება და რაც ბუნებრივად იწვევს კამპანიის შემცირებას, მედიისა და მოსახლეობის ნაკლებ ინტერესს და ა.შ. საერთო ჯამში, წარმატებული თუ ნეგატიური გამოცდილებების მქონე პროტესტებში მონაწილე აქტივისტები ხაზს უსვამენ საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას, რაც, მათი აზრით, რეალურად განაპირობებს კიდეც პროტესტის შედეგს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პროტესტის მონაწილეების მხრიდან ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ფინანსური რესურსის არქონა დასახელდა. რესპონდენტები ამბობენ, რომ ამ ტიპის გამოწვევები არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა თუ საზოგადოების მხარდაჭერით დაძლევადია.

პროტესტის წარუმატებლობაზე საუბრისას რამდენიმე რესპონდენტმა პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირების საკითხზეც ისაუბრა. მათი თქმით, ხშირად ამ ტიპის კომუნიკაციაც კი მარგინალიზებულს ხდის პროტესტანტების ჯგუფს, რასაც აქტიურად იყენებენ ოპონენტი მხარეები (რესპონდენტებისთვის ასეთ მხარედ აღქმულია სახელმწიფო, კერძო ინვესტორი, პროსახელისუფლებო მედია და ჯგუფები). მეორე მხრივ, კვლევაში ჩართული ერთ-ერთი აქტივისტი („გაამაგრე გუდიაშვილი“) საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ამბობს, რომ შესაძლოა პოლიტიკურ პარტიებთან კომუნიკაციამ დადებითი შედეგიც გამოიღოს, უბრალოდ ამისთვის დროის სწორად შერჩევაა საჭირო.

კოლექტიური წუხილის საგანია მუნიციპალიტეტთან კომუნიკაცია, რაც როგორც წარმატებული, ისე ნეგატიური გამოცდილების მქონე პროტესტებისთვისაა დამახასიათებელი. კვლევაში გამოკითხული აქტივისტები მერიის მხრიდან კომუნიკაციას აფასებენ, როგორც „მტრულს“, „არათანამშრომლურს“, „გაუცხოებულს“, „ყრუ კედელი“, „აუღებელი ციხე-სიმაგრე“ და ა.შ. ისინი იხსენებენ საქმიანი გარჩევების შემთხვევებსაც, ასევე, შემოთავაზებებს დახურულ კარს მიღმა შეხვედრებთან დაკავშირებით, რასაც აქტივისტები ღიად უპირისპირდებოდნენ. ამასთანავე, რესპონდენტები აქტიურად ასახელებენ პრობლემებს საჯარო უწყებებში დაბალი კომპეტენციის მქონე დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით. მათი თქმით, მერიაში მომუშავე ადამიანები ქალაქის განვითარებისთვის სათანადო ცოდნით არ არიან აღჭურვილები.

კვლევის აბსოლუტურად ყველა რესპონდენტი პროტესტების დინამიკასა და შეფასებაზე საუბრისას მთავარ გამოწვევად სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობას ასახელებს. როგორც აქტივისტები, ისე იურისტები ხაზს უსვამენ, რომ ნებისმიერი ქალაქური პროტესტის წარმატების წინაპირობა არის საზოგადოების ჩართულობა და არა სასამართლო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონი პროტესტის მხარესაა.

ზემოთ განხილული ურბანული პროტესტების ენა, შინაარსი და არგუმენტაცია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან. ადამიანებისთვის ეს გამოწვევები შეიძლება გახდეს როგორც მოტივაცია, რომ ჩაერთონ ურბანულ პროტესტში, ისე მიზეზი, რის გამოც შეიძლება ჩამოშორდნენ პროტესტს.

საქალაქო კონფლიქტების პოლიტიკური მნიშვნელობა მჭიდროდ ებმის საზოგადოების პოლიტიკურ უფლებას საქალაქო სივრცეებზე. იქნება ეს ურბანული გარემოს შენარჩუნება, გარემოსდაცვითი პრობლემების პრიორიტეტიზაცია, ისტორიული ძეგლების დაცვა, თუ საჯარო სივ-

რცეებზე კონტროლი, უწინარესად ისინი დაკავშირებულია სივრცის პოლიტიზებასთან და საზოგადოების ჩართულობასთან ურბანული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიმოხილული პროტესტები, მიუხედავად მათი დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილებისა, ურბანულ მოძრაობებად გარდაქმნას ვერ ახერხებს. რესპონდენტების მოსაზრებით, ამ პროტესტებს არ შესწევდა ძალა და საკმარისი მდგრადობა, გარდაქმნილიყო კოლექტიურ წინააღმდეგობად. მთავარ ფაქტორებად საზოგადოების ნაკლები ჩართულობა, პოლიტიკური ნების და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არ არსებობა, დროის, ადამიანური თუ ფინანსური რესურსის ნაკლებობა სახელდება.

მიუხედავად ამისა, თბილისელი თუ ბათუმელი აქტივისტების სუბიექტურ შეფასებებში ჩანს, რომ მათი სურვილი, გადაიჭრას საქალაქო გამოწვევები, ცდება კონკრეტულ ტერიტორიასა თუ პრობლემაზე მსჯელობას და ამ გამოწვევებს განიხილავს მთლიანი ქალაქის და მასში მცხოვრები ადამიანების პოლიტიკური და სოციალური პრობლემების ნაწილად.

ის ფაქტი, რომ იპოდრომის საპროტესტო ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობენ სხვა საპროტესტო ჯგუფის წევრები და „რივიერა ბათუმის“ პროექტის წინააღმდეგ თბილისელი აქტივისტებიც აქტიურად არიან ჩართულები, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ცალ-ცალკე მდგომი ჯგუფების გაერთიანების პრეცედენტებით შესაძლოა სპონტანურად დაწყებული თუ მოულოდნელად შეჩერებული ურბანული პროტესტების სიცოცხლისუნარიანობა გახანგრძლივდეს.

ძირითადი რეკომენდაციები

კომპლექსური კვლევის შედეგად, როგორც მეორეული, ისე ემპირიული მონაცემების საფუძველზე, გაანალიზდა აქტივისტთა სუბიექტური შეხედულებები ურბანულ პროტესტებში მიღებული გამოცდილების, მათი წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯების, შეცდომებისა და სწორი გადაწყვეტილებების შესახებ.

წარმოდგენილი პრაქტიკული რეკომენდაციები სისტემატიზებულია რესპონდენტების გამოცდილების გათვალისწინებით და მოიცავს რამდენიმე ნაწილს: **პროტესტის დაგეგმვა (1); საზოგადოებასთან კომუნიკაცია (2); არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (3); მუნიციპალურ ორგანოსთან კომუნიკაცია (4).**

პროტესტის დაგეგმვა

- **გამოცდილების გაზიარება:** პრობლემის შინაარსიდან გამომდინარე, წინარე პროტესტებისა და გამოცდილების მოძიება, დაკავშირება საპროტესტო ჯგუფებთან, მათთან შეხვედრა, სამომავლო შესაძლებლობების განსაზღვრა და თანამშრომლობის დაგეგმვა;
- **თემის ექსპერტებთან აქტიური კომუნიკაცია:** მოთხოვნებისა და არგუმენტების შემუშავების ეტაპზე, პრობლემის შინაარსიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაცია, ექსპერტული შეფასება ან დასკვნა, რომელიც შემდგომში სამართლებრივი დავების წარმოებას გაამარტივებს. ქალაქურ პროტესტებში ამ ტიპის ექსპერტიზა აქვთ ურბანისტებს, ქალაქმგეგმარებლებს, არქიტექტორებს, გეოლოგებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ექსპერტებს, ისტორიკოსებს, მკვლევრებს;
- **ინფორმაციის გავრცელება**: ეფექტური კამპანია მოიცავს სხვადასხვა სოციალურ ქსელში პროტესტის შესახებ ინფორმაციის განთავსებას, პროტესტის ცალკეული გვერდის შექმნას, ვიზუალური მასალის განთავსებასა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერნეტში არსებულ პოპულარულ ფეისბუქ გვერდებთან თუ ადამიანებთან თანამშრომლობას და ინფორმაციის გავრცელებაზე ზრუნვას.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია

- **პროტესტის არეალის განსაზღვრა:** ქალაქური პროტესტები დაკავშირებულია სივრცესთან, შესაბამისად, პროტესტი არ უნდა მოწყდეს „ადგილს“ და შესაბამისი აქტივობები საზოგადოების ინფორმირებულობისთვის ამ სივრცეში უნდა დაიგეგმოს;
- **საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა:** გულისხმობს კომუნიკაციას კონკრეტული ადგილით მოსარგებლე ან ტერიტორიაზე მაცხოვრებ ადამიანებთან:
  - მათ გამოკითხვებს, მოლოდინებს, ინფორმირებულობის გაზრდას შესაძლო პრობლემური საკითხის შესახებ და პროტესტის სამომავლო აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
  - პოტენციური სამომავლო როლის შეთავაზებას, ვინაიდან რეკომენდებულია, საზოგადოებამ თავად განსაზღვროს პროტესტში მისი როლი და ჩართულობის ხარისხი: პეტიციაზე ხელის მოწერა, აქციაზე გამოსვლა, საორგანიზაციო ჯგუფში გაწევრიანება თუ ფეისბუქ ღონისძიების მეგობრებისთვის გაზიარება;
  - საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათი ინსპირირება და მოტივაციის შექმნა, იქნება ეს საჯარო გამოსვლებით ადგილზე, ტელევიზიით თუ სოციალურ ქსელში არსებული ფეისბუქ პოსტებით, კრეატიული ტექსტებით და სხვა.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- **არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია:** მათთან თანამშრომლობა ეფექტურია როგორც ადამიანური, ისე ფინანსური და სამართლებრივი დახმარების თვალსაზრისით:

პროტესტის პირველ ეტაპზე აუცილებელია რამდენიმე ორგანიზაციასთან დაკავშირება, რომელსაც აქვს ქალაქურ პროტესტებთან ბრძოლის გამოცდილება. მათი კომპეტენციის, ექსპერტიზისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიგეგმება პროტესტის შემდეგი ეტაპები, რაც შეიძლება გულისხმობდეს როგორც სასამართლო დავებს, ისე ფინანსურ დახმარებას პროტესტის კამპანიის მასშტაბების გასაზრდელად და გასამრავალფეროვნებლად.

- **ურბანული სამართალწარმოება:** ურბანული პროტესტების წარმატებული შედეგები მჭიდროდ უკავშირდება სასამართლო დავებს, რომელიც საპროტესტო კამპანიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაწილია:

სამართლებრივი დავების წინ საპროტესტო ჯგუფებმა, ადვოკატთან ერთად, უნდა გამოითხოვონ საჯარო დოკუმენტაცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან, მაგალითად, მშენებლობის ნებართვები, საპროექტო დოკუმენტაცია და ა.შ.;

მუნიციპალურ ორგანოსთან კომუნიკაცია

- **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გამოყენება:** პირველ რიგში, საპროტესტო ჯგუფმა მერიასთან ოფიციალური კომუნიკაციის ყველა შესაძლო ფორმას უნდა მიმართოს, მათ შორის, განცხადებებს, პეტიციებს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებსა თუ სხვა ტიპის კოლეგიალურ სხდომებზე დასწრების შესაძლებლობას. მაგალითად, მშენებლობის შემთხვევაში, პროექტის საჯარო განხილვაზე დასწრება ან ორგანიზება;
- **მრავალპროფილური საექსპერტო ჯგუფის მობილიზება მუნიციპალიტეტთან შეხვედრებსა თუ საჯარო განხილვებზე.**

კვლევის ფარგლებში განხილული ურბანული მოძრაობები წარმატებებისა და იმედგაცრუებების ისტორიებია, რამაც ახალი გამოცდილებები გააჩინა და მორიგი ბრძოლების დაწყების სურვილი აღუძრა პროტესტში ჩართულ ადამიანებს. ამ პროტესტებისთვის კოლექტიურია ქალაქზე და სივრცეზე უფლების განცდა, რაც გამოიხატება როგორც ქუჩაში პროტესტით, ისე ინსტიტუციურ დონეზე, მოქალაქეთა ჩართულობის ქმედითი მექანიზმების უზრუნველყოფის მოთხოვნით. მო-

მავლისთვის ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნება თანაგანცდის არსებობა და არა ლოკალურ დონეზე, არამედ სისტემური ბრძოლების წარმოება.

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიგნებაა ქართულ რეალობაში ურბანული სოციალური პროტესტების წარმოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეფექტურად გამოყენება და საზოგადოების ონლაინ მობილიზება, რომელიც შემდგომ ქუჩის პროტესტებში გადაიზრდება. ეს ყოველივე პანდემიურ რეალობაში კიდევ უფრო საინტერესო ხდება და ამ მხრივ, სამეცნიერო საზოგადოების საკითხით დაინტერესება და ახალი კვლევების წარმოება მნიშვნელოვან ცოდნას მოგვცემს პროტესტის ახალი მეთოდებისა და აქტივისტების ქცევის ტრანსფორმაციის შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

Russell, B., & Reyes, O. (2017, August 16). https://www.redpepper.org.uk/fearless-cities-the-new-urban-movements/?fbclid=IwAR1aikcKqhdDdzZvZq_7Kh5rrmZrIQOJmnoIhdeuYomry9eVTf9gxXnum68.

Assies, W., G. Burgwal and T. Salman . (1990). Structures of Power, Movements of Resistance. An Introduction to the Theories of Urban Movements in Latin America, Cedla. Amsterdam .

Pickvance, C. . (2003). Symposium on Urban Movements. *International Journal of Urban and Regional Research. 27: 102-177.*, 3-8.

Hirst, P. (2005). Space and Power: Politics, War and Architecture. *ISBN: 978-0-745-63455-5*, 23-56.

Castells,M. (1983). *The city and the grassroots: a cross-cultural theory of urban social movement.* London: Edward Arnold.

Corr, A. (1999). *No trespassing. Squatting, rent strikes and land struggles worldwide.* Cambridge MA: South End Press.

Castells, M. (1972). *The Urban Question: A Marxist Approach.* Retrieved from https://zajednicko.org/mreznabibliografija/wp-content/uploads/sites/2/2018/04/Manuel-Castells-The-Urban-Question_-A-Marxist-Approach-The-MIT-Press-1979.pdf

Fisher, R. and J. Kling. . (1993). *Mobilizing the community: local politics in the era of the global city.* Newbury Park, Sage.

Fainstein, S. S. and C. Hirst . (1995). *Urban Social Movements.* In:. D. Judge, G. Stoker and H. Wolman, (eds.). Theories of urban politics. London: Sage.

Harvey, D. (2008). *The Right to the City.* New Left Review, Vol.53 pp.23-40.

Harvey, D. (2003). *Harvey, D., "The Right to the City" International Journal of Urban and Regional Research,* . Vol.27, No. 4 pp.939-941. .

Dikec, M. (2001). *Justice and the Spatial Imagination.* Environment and Planning A,Vol.33, pp. 1785-1805.

Jacobson, M. . (2007). "Urban Restructuring of Western cities and the implications for new urban social movements: case illustration of la Barceloneta". *Paper presented at the Urban Justice and Sustainability Conference in Vancouver, Canada .*

R.W.J. Boer ; J. de Vries. (2009). THE RIGHT TO THE CITY AS A TOOL FOR URBAN SOCIAL MOVEMENTS: THE CASE OF BARCELONETA . *The 4th International Conference of the International Forum on Urbanism (IFoU) 2009 Amsterdam/Delft The New Urban Question – Urbanism beyond Neo-Liberalism.*

Lefebvre, H. (1967). "La droit à la ville" . Paris, Anthropos.

Purcell, M. (2002). Excavating Lefebvre: The right to the city and its urban politics of the inhabitant". *GeoJournal, Vol.58, No. 3 , pp.99-108.* .

UNESCO & UN-HABITAT. (2009). *"Urban Policies and the Right to the City: rights, responsibilities and citizenship".* Paris, Most2.

Vilanova. (2003.). *L'urbanisme de la Barceloneta" in "Celebracio del 1/4 de mil.lenni de la Barceloneta,".* edited Serra, P., Barcelona, Ajuntament de Barcelona.

Tatjer, M. (2007.). *"La participacion vicinal en el centro historico de Barcelona" in "Idensitats," .* edited by Parramon, R., Madrid, Instituto de la Joventud.

Permanyer, L. (2003). *La Barceloneta, 250 anys d'historia" in "Celebracio del 1/4 de mil.lenni de la Barceloneta,".* edited Serra, P., Barcelona, Ajuntament de Barcelona.

Capel, H. (2007). *El debate sobre la Construccion de la Ciudad y el llamado 'Modelo Barcelona.* Revista Electronica de Geografia y Sciencia SocialesVol.11, No.233 .

Rusiłowicz, K. (2015). *"Who Has the Right to the Post-Socialist City? Writing Poland as the Other of Marxist Geographical Materialism".* European journal of American studies [Online], 10-3 |.

Smith, C. (2003). *"Whose Streets?": Urban Social Movements and the Politicization of Space.* Reclaim the Streets action, Toronto, September 26.

Castells, M. (2002). *"Space of Flows, Space of Places: Materials for a Theory of Urbanism in the Information Age".* Routledge.

Bryman, A. (2008). Qualitative Research in organizations and management. 71.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *ქალაქებისა და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1-ლი იანვრის მდგომარეობით*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის" მშენებლობა განახლდა. (2021, თებერვალი 15). *https://www.radiotavisupleba.ge/a/31103311.html*. Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/31103311.html

რივიერა ცათამბჯენების გარეშე. (2019). Retrieved from https://batumelebi.netgazeti.ge/news/218506/

დანართები

დანართი 1

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის სხდომა №4

3 ივნისი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბესიკ მაცაბერიძე
გიორგი გაგოშიძე
დავით ხოშტარია
გია ჭანიშვილი
ნიკოზაზუნიშვილი

4. ქ. ბათუმი. ბარათაშვილის ქ. №24

აზრი გამოთქვეს:

- ბ. მაცაბერიძე: მიეცეს რეკომენდაცია სტატუსის მისანიჭებლად.
- გ. გაგოშიძე: მიეცეს დადებითი შეფასება;
- დ. ხოშტარია: პროექტს დადებით შეფასებას ვაძლევთ;
- გ. ჭანიშვილი: ღირებული არქიტექტურაა თავისი ეპოქის არქიტექტურული ღირებულებით.
- ნ.ზაზუნიშვილი: გასაძეგლებელია.

დაადგინეს: ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. 24-ში მდებარე ნაგებობას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

<u>ამონაწერი</u>

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს №4 სექცია

ოქმი N4

ქ. თბილისი 3 ივნისი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: ბესიკ მაცაბერიძე, გიორგი გაგოშიძე, გია ჭანიშვილი, დავით ხოშტარია და ნიკო ზაზუნიშვილი.

1. განსახილველი საკითხები: **ქ. ბათუმი. ბარათაშვილის ქ. №24**

სექციის წევრი	-	მიეცეს რეკომენდაცია სტატუსის მისანიჭებლად.
სექციის წევრი	-	მიეცეს დადებითი შეფასება.
სექციის წევრი	-	პროექტს დადებით შეფასებას ვაძლევთ.
სექციის წევრი	-	ღირებული არქიტექტურაა თავისი ეპოქის არქიტექტურული ღირებულებით.
სექციის წევრი	-	გასაძეგლებელია.
დაადგინეს:		**ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. 24-ში მდებარე ნაგებობას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.**

დანართი 2

სადისკუსიო გეგმა

რესპონდენტის სქესი

ასაკი

განათლების მიღწეული დონე

პროფესია

პროტესტის დაგეგმვა

- როგორ დაიწყო კონკრეტულ საკითხზე პროტესტი?
- რა იყო/არის პროტესტის მთავარი მოთხოვნა და ვის მიმართ?
- თქვენ როდის და როგორ ჩაერთეთ? ვინ იბრძოდა თქვენთან ერთად?
- რა იყო თქვენი თავდაპირველი აქტივობა?
- გვიამბეთ პროტესტის განვითარების შესახებ, როგორი იყო პროცესი და მისი დინამიკა?
- პროტესტის მონაწილეებს ვისთან გქონდათ პროცესის შესახებ კონსულტაციები? (სამართლებრივი, გეგმარებითი თუ სხვა საკითხები)
- ფინანსური დახმარება თუ გქონდათ და რა საჭიროებებისთვის?
- რა იყო/არის თქვენი მოძრაობის გამომხატველი ფორმები (პლაკატები, სოციალური ქსელები, სხვადასხვა კამპანია), სად მოქმედებენ, სად იგეგმება და რა საშუალებებით ხორციელდება? თუ იცვლებოდა ეს ფორმები?
- პროტესტის ხანგრძლივობა.

მუნიციპალიტეტთან კომუნიკაცია

- როგორი იყო მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის პროცესი და როგორ ვითარდებოდა? (ყველა ეტაპზე - საწყისი, შუა, საბოლოო. მაგალითების მოყვანა)
- კომუნიკაციის რა ფორმებს იყენებდა მუნიციპალიტეტი?
- რა იყო ყველაზე რთული მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის ნაწილში?
- რა იქნებოდა ის ცოდნა თუ გამოცდილება, რაც ამ გადმოსახედიდან გაგიადვილებდათ მერიის უწყებებთან ურთიერთობას?
- როგორ შეაფასებდით მუნიციპალიტეტის მიმართებას პროტესტებთან და მის კომუნიკაციის მეთოდებს? (მაგალითები)

საზოგადოებასთან კომუნიკაცია

- როგორი იყო საზოგადოების პროტესტში ჩართვის დინამიკა? რა მეთოდები გამოიყენეთ, რა საშუალებები და როგორ ვითარდებოდა, როგორ იზრდებოდა თანამოაზრეთა რაოდენობა? (მაგალითები)
- როდის იყო ამ პროცესის მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი?

კომპანიასთან კომუნიკაცია

- როგორი იყო დეველოპერთან/კომპანიასთან კომუნიკაცია?
- რა მეთოდებს და საშუალებებს იყენებდა კომპანია ამ პროცესში?

პროტესტის პროცესის შეფასება

- პროტესტის გარდამტეხი მომენტები: როდის იგრძენით თავი გამარჯვებულად ან დამარცხებულად?
- პროტესტის შეფასება: კრიტიკა და პოზიტიური მოვლენები;
- რა ფაქტორებმა განაპირობა პროტესტის წარმატება ან წარუმატებლობა?
- ამ გამოცდილებით და ცოდნით უკან რომ გაიხედოთ, რას შეცვლიდით?
- რას ურჩევდით მიმდინარე პროტესტებს?
- რა ცოდნა გქონდათ პროტესტის დასაწყისში და რა რეკომენდაცია გექნებოდათ მათთვის, ვინც ახლა ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას ქალაქში ფიზიკური სივრცის დასაცავად?
- რა მოიტანა ამ პროტესტმა ქალაქისთვის? თქვენთვის?
- როგორ ფიქრობთ, ჰქონდა/აქვს თუ არა თქვენს საპროტესტო ჯგუფს სოციალურ ურბანულ მოძრაობად ჩამოყალიბების პერსპექტივა?
- თუ ვერ ხედავთ პერსპექტივას/ან არ ჩამოყალიბდა/ რატომ?